

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ილია პატარია



სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

სამოქალაქო საპროცესო სამართალში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი,

სამართლის დოქტორი

თბილისი, 2019

## სარჩევი

აბრევიატურები.....	4
I. შესავალი.....	5
II. სარჩელის უზრუნველყოფის ცნება.....	7
2.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი;.....	7
2.2. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი.....	10
2.3. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც პირთა უფლებების დაცვის გარანტია... 11	
2.3.1. მესამე პირთა უფლებები;.....	13
III. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება.....	14
IV. სარჩელის უზრუნველყოფის სახეები, როგორც ამ უფლების განხორციელების საშუალებები;.....	18
4.1. ა) ყადაღის დადება მოპასუხის ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;.....	20
4.1.ა.ა) ფიზიკური პირი;.....	22
4.1.ა.ბ) იურიდიული პირი;.....	23
4.1.ბ) მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;.....	23
4.1.გ) მოპასუხის დავალდებულება ქონება იძულებით სამართავად მმართველს გადასცეს;.....	25
4.1.დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;.....	27
4.1.ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;.....	30
4.1.ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;.....	33
4.1.ზ) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ....	33
4.2. სარჩელის უზრუნველყოფის სხვა, კანონით გაუწერელი ღონისძიებები და მათი გამოყენება სასამართლოს მიერ. ....	35
4.3. რამდენიმე უზრუნველყოფის ღონისძიების ერთობლივად გამოყენება;.....	36
V. ზიანის ანაზღაურების საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას;.....	38
5.1. მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა;.....	39

5.1.ა) მოპასუხის განცხადების საფუძველზე;.....	39
5.1.ბ) სასამართლოს ინიციატივით;.....	40
5.1.2. მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხეს მიადგა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით;.....	42
VI. ვადები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას;.....	44
6.1. სსსკ-ის 197-ე მუხლის და 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობა სსსკ-ის 193-ე მუხლის მიზნებთან;.....	45
6.2. მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უკიდურესი ვადის ცვლილების სამართლებრივი შედეგები სსსკ-ში ცვლილების შესვლის შემდგომ;.....	46
6.3. უზრუნველყოფის გარანტიის სასამართლო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები;.....	47
VII. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა;.....	49
VIII. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება;.....	52
IX. აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა.....	57
X. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები;.....	58
10.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ადგილი საერთაშორისო არბიტრაჟში;.....	58
10.2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული პრობლემატური ცალკეული საკითხების მიმოხილვა;.....	61
10.3. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფათა კონკრეტული ღონისძიებების გამოყენება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად;.....	63
10.4. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ არსებული პრაქტიკა;.....	65
10.5. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა- აღსრულების საკითხები.....	68
XI. დასკვნა .....	70

## აბრევიატურები

### ქართულ ენაზე:

სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
ადამიანის უფლებათა	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
ევროპული კონვენცია	დაცვის ევროპული კონვენცია, ქ. რომი, 1950 წლის წლის 4 ნომბერი
ევროპული სასამართლო	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

### უცხოურ ენაზე:

UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law
ICC	International Chamber of Commerce
Para.	Paragraph
No.	Number
Ed.	Editor
Vol.	Volume
GIZ	Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

## I. შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. დროული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, შეჯიბრებითობისა და სხვა პრინციპების მიუმხრობელი დაცვა მართლმსაჯულებას ეფექტურად განახორციელებს.<sup>1</sup> ეს კი სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებითაა შესაძლებელი, რომელთა კლასიფიკაციის დროს მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის, როგორც პირთა უფლებების დაცვის აუცილებელი გარანტიისთვის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებში სათანადო ადგილის მინიჭება.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ საქართველოს ევროკავშირთან მრავალმხრივ და ეტაპობრივ ინტეგრაციას, თავისუფალი ვაჭრობით ევროკავშირის შიდა ეკონომიკურ სივრცესთან კავშირს შეუწყო ხელი. ამის წინაპირობა კი მუშა შიდა სამართლებრივი რეგულაციების ევროკავშირის სამართლებრივ მექანიზმებთან შესაბამისობაა.<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების სადამფუძნებლო დოკუმენტებით დაცულ უფლებათა შორის მოწინავე ადგილს, სწორედ, უზრუნველყოფის ღონისძიებები იკავებს.<sup>3</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების აქტუალობა თანამედროვე სამართლებრივ გარემოში საკმაოდ მკაფიო და თვალშისაცემია. დიდი ხნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ დავის სწორად გადაწყვეტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მკიცებულებების გადამალვის, ან ქონების წინააღმდეგ მიმართული მავნებლური ქმედებების დასაცავად სასამართლოთა ჩართულობამ, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიებების დაწესებაში გამოიხატება, იმპერატიული ხასიათი მიიღო.<sup>4</sup> ეს ბუნებრივიცაა. პირი, რომლის უფლებები დაირღვა და ის სასამართლოსადმი მიმართვის წესით ცდილობს ნივზე, ან უფლებაზე თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირის აღდგენას, თუ განმტკიცებას, ნამდვილად არ სურს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე დავის საგანი, ან მისი

<sup>1</sup> შმიტი მ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, (GIZ), 2013, 3, სტატიიდან: *ძლიერიშვილი ზ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალი (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2018, 5.

<sup>2</sup> *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელმწიფოებო სამართლის შედარებითი ანალიზი., სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 9.

<sup>3</sup> *Comparative Analysis of the Practice and Precautionary Measures among International Human Rights Bodies*, Submitted to Special Meeting of the Permanent Council of the Organization of American States by the Center for Justice and International Law (CEJIL) and International Human Rights Law Clinic, University of California, Berkeley, School of Law, Berkeley, California, United States of America, December 2012, 2, სტატიიდან: *კაჭუჭილა გ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, 2018, 295.

<sup>4</sup> *Andrews N.*, Provisional and Protective Measures: Towards a Uniform Protective Order in Civil Matters, 6 UNIF. L. REV. N.S. 931, 2001, 931.

სამართლებრივი ინტერესის სფეროში არსებული ობიექტი აღარ არსებობდეს, რაც მას იურიდიულად უსუსურს ხდის. იმ პირობებში, რომ დღევანდელ სამყაროში ნივთის გასხვისება პრობლემებთან არ არის დაკავშირებული, მოსარჩელის ინტერესის სფეროში არსებული, მაგ, ნივთი, ვებ-საიტის მემვეობით შესაძლოა რამდენიმე წუთში გაიყიდოს, მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება კი აღსასრულებლად საკმაოდ პრობლემატური გახდეს.

რომის სამართალში არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, მხოლოდ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი ფუნქციონირებდა, რომელიც მოპასუხეს ძალდატანების გარეშე გადაწყვეტილების აღსრულების ავალდებულებდა. კითხვაზე პასუხი, თუ რატომ არ იყო მოქმედი ეს ინსტიტუტი, პასუხი არ იძებნებოდა. შესაბამისად, არ მოქმედებდა სარჩელის დაუცველობის პრინციპი. საზოგადოების მომავალმა განვითარებამ, სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლემ კი მისი დამკვიდრება განაპირობა.<sup>5</sup>

ისლანდიური მეთევზეობის მესვეურთა, ავსტრალიელებისა და ახალ ზელანდიელების განცხადებანი ფრანგული ბირთვული ტესტების წყნარ ოკეანეში ჩატარების შეჩერების შესახებ, ერთგვარი მყარი გარანტია იყო იმისა, რომ საერთაშორისო სახელმწიფოებრივ დავებში უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას ზრდადი ტენდენცია ექნებოდა. აგრეთვე, „ინგლისი ირანული ნავთობ კომპანიის წინააღმდეგ“ შემთხვევის დროს, სასამართლოს მიერ თევზაობის იურისდიქციის დასადგენად უზრუნველყოფის ღონისძიების დადასტურება, ამ ღონისძიების გამოყენების კლასიკური მაგალითი იყო, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტ მხარეს აღნიშნულ დავაში სასამართლოს იურისდიქციის დასადგენად საკმარისი მტკიცებულება ჰქონდა წარმოდგენილი და განმარტა, რომ „ქეისში“ საუბარი იყო არა იმაზე, რომელი ღონისძიება უნდა გატარებულიყო მხარისთვის გარდაუვალი ადეკვატური კომპენსაციის დაკისრებისათვის, არამედ იმაზე, რომ, თუ დროებითი ღონისძიება დროულად არ იქნებოდა გამოყენებული, ამას მხარისთვის შესაძლოა გამოუსწორებელი, აუნაზღაურებელი ზარალი მოეტანა.<sup>6</sup>

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემოღებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის ინდივიდუალურობა და თვითმყოფადობა მდგომარეობს იმაში, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა მხოლოდ დროებით, წინასწარი ხასიათის ღონისძიებაა და დარღვეული, ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი

<sup>5</sup> *ჭანიძე* დ., სარჩელის განხილვის თავისებურებანი რომაულ სამართალში, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018, 73.

<sup>6</sup> *Goldsworthy P. J.*, Interim Measures Of Protection In The International Court Of Justice, American Journal of International Law, vol. 68, no. 2, April 1974, 258,262, 269.

მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ხდება.<sup>7</sup>

ნორმები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია თავმოყრილი. მათი არსებობა მოსარჩელესათვის ერთგვარი წაქეზება და სამართლებრივი გარანტიაა იმისა, რომ თუ ის დაასაბუთებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით დაცული სიკეთე აღემატება მოპასუხის ინტერესებს, გადაწყვეტილების გამოტანამდე, დავის საგანი, ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლება რეალურად იარსებებს. თუნდაც ის, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს“, ამ ინსტიტუტის ძლიერ მხარეზე მიუთითებს, თუმცა თავისთავად ეს იმას არ ნიშნავს, რომ სარჩელი აუცილებლად დაკმაყოფილდება. აქ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებით მოსარჩელე დამატებით გადასახადს იხდის სახელმწიფო ბაჟის სახით, ამასთან, ამ უფლების რეალიზებით ის ერთგვარ განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ინტერესს იჩენს დავის საგნის მიმართ და სარჩელის უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენებლობით სასარჩელო წარმოების წამოწყებასთან შედარებით, ამ დროს მოსარჩელე არგუმენტირებულ მოსაზრებას წარადგენს, რითაც დავის საგნის, ან მასთან დაკავშირებული უფლების რეალიზების, ან მათი შეზღუდვის რეალურ საშიშროებაზე მიუთითებს.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ირგვლივ არსებულ ფორმალურ და მატერიალურ ასპექტებს გააერთიანებს და განავრცობს, რათა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მისი მნიშვნელობა და საპროცესო საშუალებად მისი გამოყენების ეფექტურობა თვალნათლივ იქნეს დანახული.

კვლევის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა თეორიული დამუშავება და პრობლემათა დაფიქსირებისა და გადაჭრის გზების წარმოჩენა, არამედ კვლევა შესრულებულია საქართველოს საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

## II. სარჩელის უზრუნველყოფის ცნება

### 2.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი;

სასამართლოში წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო პროცესში შემოღებულია ე.წ. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული ზომაა. მისი ფუნქცია

<sup>7</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5726-15.

გარკვეული პროცესუალური მოქმედების შესრულებაში გამოიხატება, მიზანი კი შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გარანტიაა.

სარჩელის უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ინსტიტუტია და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად სამოქალაქო სამართალწარმოება ხანგრძლივი ვადით შეიძლება გაგრძელდეს, რისკი დიდია, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი გაიყიდოს, უფლებრივად დაიტვირთოს, სულაც განადგურდეს, ან გადაწყვეტილების აღსრულების რაიმე სხვა ხერხით შეეშალოს ხელი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება კი სამოქალაქო საქმეებზე მომეტებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. მართლმსაჯულების ეფექტურობა კი უმეტესწილად, სწორედ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე დამოკიდებულია.<sup>8</sup>

შედარებითი სამართალი, უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც ერთიანი ტერმინის გამოყენებაზე გვამცნობს, რომ ის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება. მართლაც, მაგალითად, ქონების დაყადაღებასა და მოპასუხისათვის რაიმე ქმედების აკრძალვის ცნებები, რომელთა შესახებაც შემდგომ თავებში უფრო ვრცლად გვექნება საუბარი, განსხვავებულ სახელმწიფოთა მიერ დიფერენტულად არის გაგებული. მეტიც, ზოგჯერ, ერთის მიერ კანონმდებლობით დეკლარირებული უზრუნველყოფის ღონისძიების მეორე ქვეყნის იურიდიულ ენაზე გადმოთარგმნაც კი ჭირს, არაფერი რომ არ ვთქვათ ქვეყნების მიერ თავიანთ სამოქალაქო აქტებში გაწერილი უზრუნველყოფის ღონისძიებების შედარებაზე და შეპირისპირებაზე. მაგალითად, ჰოლანდიის კანონმდებლობაში დამკვიდრებული ტერმინი „kort geding“, მხოლოდ ადგილობრივი იურიდიული სამყაროსთვისაა ზუსტად გასაგები და მას სავარაუდოდ, მრავალი შესაძლო განსაზღვრება უნდა გააჩნდეს. ამ ტერმინით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიებას შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი განმარტებები: წინასწარი, წინასწარ მოსალოდნელი, მტკიცებულებათა დამცავი და სხვა მნიშვნელობები. მისი სხვადასხვა მნიშვნელობით თარგმნისას კი, მისი, როგორც ინდივიდუალური საშუალების დამცავი სხვა ეფექტური განმარტებანიც, შესაძლოა ამ თავისუფლებამ შეიწიროს.<sup>9</sup> იურიდიულ ლიტერატურაში უზრუნველყოფის ღონისძიების აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი სიტყვები: „precautionary measures“, „conservatory measures“. ბერგერი განმარტავს, რომ „Interim Award“, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც დროებითი ღონისძიება

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

<sup>9</sup> Pretelli I., Provisional and Protective Measures in the European Civil Procedure of the Brussels I System, 101, <<https://www.isdc.ch/media/1740/provisional-measures-in-the-brussels-i-system-by-ip.pdf>>.



(რომლის შესახებ განცხადებაც სასამართლოს მიერ უკვე დაკმაყოფილებულია), არბიტრაჟის გადაწყვეტილებაა, რომელიც საბოლოო არ არის.<sup>10</sup>

ქართული კანონმდებლობა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის კრებით ცნებად ჩამოაყალიბებს და მასში ყველა ზემოთაღნიშნული მნიშვნელობას დაუშვებს. ის სასამართლოს მიერ იმ ღონისძიებათა მიღებას გულისხმობს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნათა განხორციელებას ასტიმულირებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარჩელის უზრუნველყოფა კანონით გაწერილი იმ იძულებითი ზომების სისტემაა, რომლებსაც სასამართლო მოსარჩელის შუამდგომლობით აწესებს, რაღა თქმა უნდა, თუ არსებობს ვარაუდი, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მომავალში გართულდება, ან კი შეუძლებელი გახდება და ეს გამოიხატება იმაში, რომ მოპასუხეს სარჩელის მატერიალურად განსაზღვრული ნივთის (ობიექტის) განკარგვის უფლება უმჭიდროვდება, რაც თავის მხრივ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების რეალურ აღსრულების საეჭვოობას აქარწყლებს.<sup>11</sup>

აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში მკაფიოა. კერძოდ, ის მოსარჩელეს უმცირებს, საერთოდ უკუაგდებს იმ რისკს, რაც შესაძლოა მის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ დავის წამოწყებამ გამოიწვიოს. საუბარია იმ საშიშროებაზე, როდესაც მოპასუხემ შეიძლება არაკეთილსინდისურად იმოქმედოს, გაასხვისოს ნივთი, ან მასზე რაიმე სხვა უფლება დარეგისტრირდეს და აღმოჩნდეს, რომ მოსარჩელის შემდგომი მოქმედებები შესაძლოა ჩიხში შევიდეს და რეალურად, სასამართლო გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოსვლის შემთხვევაშიც, მისი ინტერესის განხორციელება ეჭვქვეშ დადგეს. შესაბამისად, ასეთი დამატებითი საპროცესო ბერკეტის არსებობის პირობებში, მოსარჩელეს დავის საგნის, ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული გარემოებების მიმართ, რამაც შესაძლოა მისი უფლების განხორციელებაზე მოახდინოს ზეგავლენა, დაცვის პრევენციული ზომების მიღება მართებს.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა არსებობა ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც იმ უფლებებში გაუთვალისწინებელი და დაუსაბუთებელი ჩარევის, კონსტიტუციურ ჩარჩოებს მიღმა განხორციელებული მოქმედებების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს, რომელიც მომავალი სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა ვერ აღდგეს.<sup>12</sup>

<sup>10</sup> Berger, Klaus Peter Private Dispute Resolution in International Business Negotiation, Mediation, Arbitration, Volume I Case Study Kluwer Law International 2006, 165, წიგნიდან: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 367.

<sup>11</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 331.

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-16-354-09.

შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფა, მოპასუხისთვის თავისი ქონების, ან ფულადი აქტივების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით გადაწყვეტილების უცილობლად აღსრულების სავარაუდო დაბრკოლების პრევენციაა.<sup>13</sup>

## 2.2. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი

როგორც აღინიშნა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი სასამართლოს მიერ სარჩელზე მისაღები მოპასუხისათვის უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების გართულების, შეუძლებლობის პრევენციაა. იმისათვის, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება არ გაჭიანურდეს, ეს ინსტიტუტი კანონმდებლის მიერ დადგენილ დროებითი ღონისძიების რელევანტურად სახედ გვევლინება. ზემოთაღნიშნული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის რეალური საშუალებაა და მათი შელახული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას ემსახურება.<sup>14</sup> შესაბამისად, საჭიროა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო, სადაც ამ ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობებზეა საუბარი, გამართული იყოს. ფაქტია, რომ ნორმატიული ჩარჩო სამოქალაქო სამართალში დროებითი ღონისძიებების დამხმარე, ხელშემწყობ საშუალებად გვევლინება. თუმცა, ამავე დროს, საფიქრებელია, რომ ნორმები არ უნდა გამოირჩნენ ისეთი სტრუქტურით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებას, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი წარმომადგენელს, სამოქალაქო ურთიერთობებში არსებითი საფრთხე შეექმნას. ბევრი დაუწერელი ძირითადი ნორმა არსებობს, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამცავი ღონისძიებების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში მათი კვალი არ არის.<sup>15</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობაში პირთათვის ჩაწერილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ ბერკეტს და მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა მხოლოდ დროებითი და წინმსწრები ხასიათის საშუალებით, დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან გამიჯნულად, სასამართლოს მიერ ძირითადი გადაწყვეტილების მიღებამდე ხდება.<sup>16</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანას ემსახურება და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით მოსარჩელის სარგებლობის ხელშეწყობაა, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის მისი

<sup>13</sup> *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 299.

<sup>14</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აგვისტოს განჩინება საქმეზე №28/3437-14.

<sup>15</sup> *Westberg P.*, Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies In Law © 1999-2012, 546.

<sup>16</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №28/6076-15.

ინტერესი მოპასუხის არაკეთილსინდისიერების გამო არ შეილახოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის აღსრულების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.<sup>17</sup>

სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების გამოყენების მიზანი „არსებული ვითარების ერთ ადგილზე გაყინვა“, მანამ, სანამ შემდგომი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. განსხვავებით, სსსკ-ისა, სადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განაცხადი ერთ დღეში, მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილება, აშშ-ს სამოქალაქო პროცესის ფედერალური კანონის 65-ე მუხლი განაცხადის განხილვისთვის ზეპირის მოსმენის დანიშნავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს მიაკუთვნებს.<sup>18</sup>

### 2.3. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც პირთა უფლებების დაცვის გარანტია

სარჩელის უზრუნველყოფა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. ის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად, ფიზიკური და იურიდიული პირების შელახული ქონებრივი, თუ სხვა უფლებების სრული აღდგენა<sup>19</sup>, მხოლოდ ერთი მხარის, მოსარჩელის პოზიციიდან არ უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ დამცავი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის პროცედურა ცალმხრივი (მოსარჩელის) მტკიცებულებებით მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ღონისძიების სწრაფი განხილვის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს საწყის ეტაპზე (არ იგულისხმება გასაჩივრების შესაძლებლობა) არ ეძლევა შანსი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საპირისპიროდ საკუთარი შესაგებელი წარადგინოს, ასეთ დროს სამართლებრივ სიკეთეთა დაბალანსება და გონივრული განსჯის საფუძველზე განჩინების მიღება<sup>20</sup> აუცილებელია, რამაც სასამართლო შესაძლოა მოსარჩელის მიმართ მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების დაკისრებამდე მიიყვანოს.

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვის წახალისება კანონის იმპერატიული მოთხოვნა უნდა იყოს იმ ფარგლებში, როდესაც მოპასუხე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მტკიცებულებებს, აღნიშნულთან

<sup>17</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №28/790-16.

<sup>18</sup> *Baicker-McKee S., Janssen W. M., Corr J. B.*, A Student's Guide to the Federal Rules of Civil Procedure, West Publishing Company, ST. Paul, Minn, 1997, 614.

<sup>19</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2012, 332.

<sup>20</sup> *Aichinger M., Petritz W., Reich E.*, Interim Measures and The Applicability of Article 6, Vienna (Austria), 5. <[http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/Written%20paper%20Lisbon/Written\\_paper\\_%20Austria\\_1\\_%20Interpretation\\_and\\_application\\_of\\_article\\_5\\_and\\_6\\_of\\_the\\_ECHR%20.pdf](http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/Written%20paper%20Lisbon/Written_paper_%20Austria_1_%20Interpretation_and_application_of_article_5_and_6_of_the_ECHR%20.pdf)>.

დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარადგინოს<sup>21</sup> და საკუთარი უფლებების დაცვისას ხელოვნურად პასიურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.<sup>22</sup> თუმცა, ქართული კანონმდებლობით, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოპასუხისთვის შეუტყობინებლად, ერთი დღის ვადაში განიხილება. ჩვენი მიდგომა ამ საკითხთან გასაგებია და ვთვლი, რომ ღონისძიებით, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, სასამართლო პროცესის ეკონომიურობისა და ყველასთვის დროული სასამართლო განხილვის პრინციპიდან გამომდინარე, ამ პროცესის კიდევ უფრო გაწევა ამ საშუალების სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იქნებოდა მართებული, იმ პირობებში, რომ მოპასუხეს ერთ ინსტანციაში მის მიმართ მიღებული უარყოფითი შედეგის გასაჩივრება შეუძლია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) პირის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ პირდაპირ არ არის ჩანაწერი, თუმცა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა აშკარად, ან ნაგულისხმევად, ამ მუხლს უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც სამოქალაქო უფლებათა განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალების დაცვის გარანტად მოიაზრებს.<sup>23</sup> ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ პირდაპირი ჩანაწერის გაუთვალისწინებლობა გამართლებულია იმით, რომ ის ადამიანის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს პირდაპირ არ განსაზღვრავს. თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობაში გადატვირთული, დროში ძალიან გაწელილი საპროცესო მოქმედებების არსებობის პირობებში, მოსამართლის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მიღებული განჩინება, უმეტესწილად, გამონაკლის შემთხვევებში, სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების ტოლფასია. ეს ეფუძნება იმას, რომ ხშირად, დროებითი ღონისძიებები და ძირითად საქმესთან დაკავშირებული პროცესები ერთი და იმავე სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავენ და მათ ერთნაირი ხანგრძლივობის და სიხშირის ეფექტი აქვთ.<sup>24</sup>

დროებითი ღონისძიების გამოყენებისას მისი ხასიათიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან მისი მიზანი ზეგავლენას ახდენს, მოქმედებს უფლებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც ის გამოიყენეს. როცა კი უზრუნველყოფის ღონისძიება რისკის ქვეშ დამდგარი სამოქალაქო უფლების განხორციელების, ან ვალდებულების შესრულების ეფექტური საშუალებაა,

<sup>21</sup> Kolban P., Babičková K., Potucký J., Selected Problems Related to Provisional Measures within Brussels I Bis Regulation and European Convention on Human Rights, Czech Republic, 2017, 9.

<sup>22</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე, *Avotins v. Latvia*.

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *Micallef v. Malta*, პარ 78.

<sup>24</sup> Ibid, para.79. The New Approach of ECTHR in: section 5, subsection (c), para. 83- 86. ნაშრომიდან: *Zoroska K. T., Ph.D., Interim Measures in IP Litigation from the Macedonian Perspective, Iustinianus Primus Law Review, 2013, 4.*

მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხანია ის მოქმედებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ამ დროს გამოყენებას ექვემდებარება.<sup>25</sup>

საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის გულისხმობს, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო თუ ამ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, სასამართლომ ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მან უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, რომ, მაგ, შესაძლოა მოვალის ქონებაზე აკრძალვის დაწესება სასამართლო გადაწყვეტილების დაუბრკოლებელი და ეფექტური აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა გახდეს.<sup>26</sup>

### 2.3.1. მესამე პირთა უფლებები;

პირთა უფლებათა დაცვის გარანტიაზე საუბრისას, მესამე პირთა ყურადსაღები უფლებების შესახებ არ უნდა დაგვავიწყდეს, ვინაიდან მოსარჩელის გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად სარეალიზაციოდ გასული, ან უფლებრივად დატვირთული ქონება, შესაძლებელია სწორედ მათი აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძევათა თავში გამოყოფით მესამე პირთა კონკრეტულ უფლებებზე არ მიუთითებს, სსსკ-ში არის თავი - „მესამე პირები“, სადაც იმ უფლებათა შესახებაა გაწერილი, რომელიც მათ შეიძლება უზრუნველყოფის ღონისძევათა გამოყენების დროსაც წარმოემვათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ შემთხვევაში მათი საპროცესო უფლებების ეფექტური განხორციელება მათ მატერიალური კანონმდებლობით გამყარებულ შესაძლებლობებთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ყველა ხშირად, პროცესის არამონაწილე მესამე პირებს პროცესის მსვლელობისას პროცესზე საკუთარი დამოუკიდებელი მოთხოვნით ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. დამოუკიდებლად, ისინი პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის მოწინააღმდეგე არიან, ვინაიდან დავის იმ საგანზე, ან ნაწილზე აცხადებენ იზოლირებულ მოთხოვნას, რომლის მიკუთვნებასაც რომელიმე მხარე ითხოვს.<sup>27</sup> ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მეუღლეთა შორის ქონების გაყოფაზე დავა მიმდინარეობდა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოპასუხის ძმამ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქონების მისთვის შემდგომი მიკუთვნებისთვის, ქონებაზე (გარაჟზე, რომელზეც ის ამბობდა, რომ მშენებლობა მისი ხელსაწყოებითა და ხარჯებით ჩატარდა) ყადაღის დადება მოთხოვა. ამიტომ, ის დამოუკიდებელი სასარჩლო მოთხოვნით ჩაერთო საქმეში, ხოლო სასამართლომ მიიჩნია, რომ მას აღნიშნულ

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Micallef v. Malta*, პარ 85.

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1477-2018.

<sup>27</sup> *Frangakis N., Associates, Kazantzi N., Saounatsou H.*, GREECE, Athens, Greece, 8.

საქმეში ლეგიტიმური ინტერესი ჰქონდა და მისი მესამე პირად საქმეში ჩაბმა დააკმაყოფილა.<sup>28</sup>

დროებითი ღონისძიებების გამოყენებისას მესამე პირთა უფლებების განუხრელი დაცვა აუცილებელი კატეგორიაა. ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ, თანხის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებულ საქმეში უზრუნველყოფის ღონისძიების სახის ქონების აუქციონზე რეალიზაციის შეჩერების გამოყენება მესამე პირთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპს უფლებელყოფს. კერძოდ, იმ კრედიტორთა უფლებები ირღვევა, რომლებმაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებით გარკვეული სამართლებრივი ქმედებები უნდა განახორციელონ, ან უკვე განახორციელებს.<sup>29</sup>

შესაბამისად, მესამე პირთა უფლებების ზედმიწევნითი დაცვა სამოქალაქო უფლებაუნარიანობისა და სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვანის ნაწილია. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას, მოსარჩელემ ისეთ ქონებაზე უნდა მოთხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელზეც მესამე პირს მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ, მაგალითად, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან მესამე პირთა რეგისტრირებული სამომავლო უფლებები ნათელია, ამ დროს დროებითი ღონისძიების გამოყენება იმ პირთა ქონებაზე, რომელთაც უძრავი ქონება უკვე შეიძინეს, მაგრამ მათზე მართო სამომავლო უფლება გააჩნიათ, უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>30</sup> ამიტომ, სასამართლო ვალდებულია, რომ ბრმად და მექანიკურად, მესამე პირთა ინტერესების გაუთვალისწინებლად, არ დათანხმდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>31</sup>

### III. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება

იმისათვის, რომ მოსარჩელემ თავიდან აირიდოს დავის საგანთან დაკავშირებული მისთვის უარყოფითი შედეგი, მან რაიმე ფორმით უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია და განსაკუთრებული სიფრთხილე მის მიმართ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება სწორედ ის საპროცესო საშუალებაა, რომელიც მას ამის შანსს აძლევს.

სსსკ არ მიუთითებს, რომ სასამართლო რაიმე ფორმით ჩართული უნდა იყოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ინიცირების პროცესში, რადგან თავისი მატერიალური და პროცედურული გაგებით, სამოქალაქო საპროცესო

<sup>28</sup> *Sergeev H. A.* Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 2, <http://lib.sale/grajdanskiyprotsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html>, ნაშრომიდან: *ხარტონიშვილი.ნ.*, მესამე პირები სამოქალაქო პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 67.

<sup>29</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

<sup>30</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/652-15.

<sup>31</sup> *Uchkunova I.* Provisional Measures before the International Court of Justice, Law and Practice of International Courts and Tribunals, vol. 12, no. 3, December 2013, 428.

სამართალში დამკვიდრებული პრინციპებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, მხოლოდ მხარის შუამდგომლობის შედეგი უნდა იყოს და ამის ინიციატორი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სასამართლო.<sup>32</sup> დავის მოგვარებაში და შესაბამისად, აღნიშნული უფლების განხორციელებაშიც სასამართლოს ჩარევა ხომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას დააჩქარებს, თუმცა ამას ბევრი საფრთხე და ბარიერი ახლავს თან. მოსამართლის აქტიური მონაწილეობა ძირს გამოუთხრის მისი, როგორც ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას, ან ის შესაძლოა არარელევანტური გადაწყვეტილების მომლოდინე ადვოკატის იურიდიული წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს.<sup>33</sup> მოსამართლე იმ შემთხვევაში არ შეუშლის ხელს მიუმხრომლობის პრინციპის განხორციელებას, თუ ის, მარტივად, მხარეებს მათ მიერ წარმოდგენილი პოზიციებისა და მტკიცებულებების ობიექტური დამკვირვებლის პოზიციას შესთავაზებს.<sup>34</sup> დამცავი ღონისძიების გამოყენებისას მოსამართლის წამომწყებ პოციზიას სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, შეჯიბრებითობის პრინციპი უპირისპირდება, რაც მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს.<sup>35</sup> შესაბამისად, წინასწარი ღონისძიებების განხილვისას, მოსამართლე მხარეთა პოზიციიდან უნდა გამოვიდეს და პროცესში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, როგორც შემდგომში ე.წ. „დაინტერესებულმა მხარემ“.

სსსკ-ის 191-ე მუხლი კონკრეტულად ჩამოთვლის იმ კრიტერიუმებს, რომელთა კუმულაციური არსებობაც უზრუნველყოფის ღონისძიების დასაშვებად აუცილებელია. ბუნებრივია, განმცხადებელი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული იმაზე, თუ რა უნდა მიუთითოს აღნიშნულ განცხადებაში, რათა მსგავსი, ინდივიდუალური ნიშნებით დამახასიათებელი საპროცესო საშუალებების არსებობისას, მისი საპროცესო უფლებების განხორციელება დროში უსაზღვროდ არ გაიწელოს. მოსარჩელის მხრიდან, კანონის ჩანაწერით განსაზღვრული ვითარებების, გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე, დარღვეული, ან სადავო უფლების განხორციელებას, კიდევ, გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს გამოიწვევს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, დასაბუთება, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად, დამაჯერებლად დამტკიცება უაღრესად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დროებითი ღონისძიებები ერთი მხარისთვის საკუთარ უფლებათა დაცვის გარანტია, ხოლო მეორე მხარეს კანონიერი

<sup>32</sup> *წიკლაური ბ.*, უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 10.

<sup>33</sup> *Ramsey, Ronald C.*, The Role of the Judge in Civil Settlements, Law and the Social Order, vol. 1973, no. 1, 1973, 109.

<sup>34</sup> *Schwarzer, William W.*, Managing Civil Litigation: The Trial Judge's Role, Judicature, vol. 61, no. 9, April 1978, 407.

<sup>35</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/1219-12.

უფლებების, გააჩნია რომელი ღონისძიება იქნება გამოყენებული, განხორციელების შესაძლებლობას უსპობს.<sup>36</sup>

შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა მსჯელობდეს, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო აღნიშნული ბერკეტების მოქმედების უნარიანობაში დარწმუნდება, საწინააღმდეგო პოზიციის დაშვებულად მიჩნევის შემთხვევაში კი, ყველა სარჩელი წინასწარ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რითაც გადაწყვეტილების აღსრულების კანონისმიერი მექანიზმების ფუნქციონირებას აზრი საერთოდ დაეკარგება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პირი, რომელმაც დამცავი ღონისძიების გამოყენებაზე განაცხადა, ვალდებულია ას პროცენტური მტკიცებულებებით დაამტკიცოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ეს დასკვნა სსსკ-ის არც 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მომწესრიგებელი სხვა ნორმებიდან არ უნდა გამოვიტანოთ. სასამართლოს დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი სტანდარტით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება საკმარისია, რომელსაც სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების გარდაუვალობის თაობაზე მოსარჩელის განცხადი ემყარება. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გამძლეების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.<sup>37</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიებებები და ძირითადი სამოქალაქო სამართალწარმოება სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს ერთი და იგივე ხერხებით წყვეტენ. და შედეგადაც, ხანგრძლივი, ან მუდმივი ეფექტი აქვთ მხარისათვის. შესაბამისად, თავისი მიზნისა და ბუნების გამო, განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, მიუხედავად მიზეზისა, განსაკუთრებული, მაღალი პრიორიტეტულობით უნდა იქნეს განხილული.<sup>38</sup>

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-836-2019.

<sup>37</sup> სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა, შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2013 წლის 18 ივლისი, 3. ამასთან დაკავშირებით, იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1461-1379-2012.

<sup>38</sup> *Organization For Security and Co-operation in Europe Mission In Kosovo*, Use of Interim Measures in Civil Proceedings in Kosovo, LSMS Issue 11 , December 2010, 1. See Bevacqua and S. v Bulgaria, ECtHR Judgment of 12 June 2008, paragraph 68.



### 3.1. დროებითი ღონისძიების გამოყენება სარჩელის აღძვრამდე, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის განსაკუთრებული ვითარება;

ქართული კანონმდებლობის მიერ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, მოსარჩელისთვის საკუთარი კონსტიტუციური უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბერკეტია, განსხვავებით, მაგ, ეთიოპიის კანონმდებლობისგან, სადაც აღნიშნული შესაძლებლობა მოსარჩელეს არ აქვს.<sup>39</sup> ეს მიდგომაა გატარებულია აშშ-ს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც.<sup>40</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 192-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრამდე ამ დანაწესით ხელმძღვანელობა საგამონაკლისო, გადაუდებელ შემთხვევაში შესაძლებელი. ერთ-ერთ საქმეში, ქართული სასამართლო განმარტავს, რომ განცხადებას დროებითი ღონისძიების გამოყენებისთვის ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ ჯერ არ აღძრული სარჩელის შემთხვევაში, ქონების რეალიზაციის შეჩერებაზე, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, დამატებითი პირობა - შემთხვევის გადაუდებლობა წაეყენება. ამ ტიპის ღონისძიების გამოყენების იურიდიული შინაარსი არის ის, რომ სასამართლოსათვის მიმართვის პერიოდისათვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით რეალური საშიშროებაა იმისა, რომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება. ანუ, კანონმდებლის მიერ მხედველობაში მიღებულ იქნა მხარის ინტერესი, გადაუდებლობის, აუცილებლობის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრამდე, მისგან დამოუკიდებლად, დამცავი ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს. ამდენად, განმცხადებლის მიერ სარჩელის აღძვრამდე შემთხვევის გადაუდებლობის დასაბუთება სარჩელის უზრუნველყოფის ამ ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

ამასთან, ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ წინამდებარე ეტაპისათვის სარჩელის აღძვრის შეუძლებლობა უნდა გვქონდეს სახეზე. ნიშანდობლივია, რომ კანონის მიერ მოთხოვნილი წინაპირობები სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონისმიერი წინაპირობებია, ანუ კანონიდან გამომდინარეობს და ამ წინაპირობების არაარსებობისას, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა გამოიყენოს.

გადაუდებელი შემთხვევა შეფასების სუბიექტურ კატეგორიას არ წარმოადგენს. ეს სხვადასხვა გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული (ქონების მოსალოდნელი

<sup>39</sup> ვრცლად იხ. *Yimer G. A.*, Standards for Provisional and Protective Measures in Civil Litigation: What Ethiopian Courts May Learn from US Courts, *African Journal of International and Comparative Law*, vol. 24, no. 3, 2016, III section, Provisional and Protective Measures under Ethiopian Laws, 339-.

<sup>40</sup> *Baicker-McKee S., Janssen W.M., Corr J.B.*, A Student's Guide to the Federal Rules of Civil Procedure, West Publishing Company, ST. Paul, Minn, 1997, 608.

გაყიდვა, გაჩუქება, ხშირად ფიქტიური გასხვისება, გადამალვა და ა.შ).<sup>41</sup> განმცხადებელი ამ დროს ნამდვილად, სხვა ობიექტური თვალის პოზიციასთან ურთიერთშეჯერებიდან გამომდინარე უნდა აფასებდეს მისი განცხადების პერსპექტიულობას, ვინაიდან მისი ეჭვი, რომ სადავო ქონება შესაძლოა გაიყიდოს, ან რაიმე სხვა უფლებით დაიტვირთოს, მისი იმ ემოციური ფონიდან კი არ უნდა მომდინარეობდეს, რომ ის თავის უფლებათა დაცვას სასარჩელო წარმოებით აპირებს, არამედ მან ასევე უნდა გაითვალისწინოს ის რისკი, რამაც სასამართლო შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ განჩინების მისაღებად გადახაროს. ეს რისკი კი მატერიალურად გამოიხატება იმაში, რომ მოპასუხისათვის ქონება, რომელიც უნდა დაყადაღდეს, ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებით დამძიმდეს, შესაძლოა მოპასუხის საარსებოდ აუცილებელი წყარო აღმოჩნდეს და სარჩელის არარსებობის პირობებში, განმცხადებლის მხრიდან, საკუთრივ, ამ ქონების უფლებრივად დატვირთვის მკაცრი დასაბუთებაა საჭირო.

#### **IV. სარჩელის უზრუნველყოფის სახეები, როგორც ამ უფლების განხორციელების საშუალებები;**

სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უპირველეს საძირკველს იმის სამართლებრივად სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა<sup>42</sup>, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ დავის საგნის დაცვის საჭიროება არსებობდეს, თუმცა აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენებისთვის არ არის საკმარისი. ყურადსაღებია, თავად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიების შესაბამისობა დავის საგნის დაცვის ადეკვატურობასთან, პროცესის მონაწილე მხარეთა, იქვე, მესამე პირთა ინტერესების დაბალანსებისა და თანაზომიერების ტესტის მაქსიმალურად სამართლიანად განხორციელებისათვის, ანუ ყოველ კონკრეტულ შეთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფა და შესაბამისად, დავის საგნის დაცვა ამ შემთხვევისთვის რელევანტური ღონისძიების გამოყენებით უნდა განხორციელდეს.<sup>43</sup> მაგ, ჩინური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო დავის დაწყებამდე დროებითი ღონისძიების სახით რაიმე ქმედების აკრძალვა, ან მტკიცებულებების შენახვის დავალება მხოლოდ საპატენტო, სავაჭრო და სავაჭრო უფლებებთან დაკავშირებით უნდა იქნეს გამოყენებული და

<sup>41</sup> *ბრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007, 338.

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-155-145-2017.

<sup>43</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

არა იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოთხსენებულ უფლებებთან სხვა ტიპის რომელიმე სამოქალაქო დავაა დაკავშირებული.<sup>44</sup>

მხარე, რომელმაც კონკრეტული საშუალების გამოყენების თხოვნით მიმართა სასამართლოს, ის ამ ღონისძიების გამოუყენებლობიდან წარმოშობილ სავალალო შედეგებზე უნდა დაარწმუნოს, რადგან სასამართლოს შესაძლოა უზრუნველყოფის სხვა სახე მიაჩნდეს ვითარებისთვის რელევანტურად. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების იდენტურად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხის ქონების მოსაძიებლად ყველა ზომას უნდა მიმართოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ამ დროს შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე.<sup>45</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დამცავი ღონისძიების არსებობა დარღვეული უფლების მაქსიმალური აღდგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და უდავოა, რომ მას ძირითადი სამოქალაქო სამართალწარმოების მსგავსი მიზნები აქვს, დროებით ღონისძიებათა გამოყენება მას ვერ ჩაანაცვლებს.<sup>46</sup> აუცილებელია, არა მათი მიზნების გამიჯვნა, არამედ დროებითი ღონისძიების მოქმედების არეალის და საზღვრების დადგენა. ერთ-ერთ საქმეში, პასუხისმგებელ სუბიექტებზე საუბრისას სასამართლო განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი ი.პ. წარმოადგენს, თუ არა, მოსარჩელის სარჩელზე პასუხისმგებელ სუბიექტს, სარჩელისა და შესაგებლის ურთიერთშეჯერებისა და მტკიცებულებათა კვლევის შედეგად, არსებითად განსახილველი საკითხია და უზრუნველყოფის ღონისძიების ეტაპზე გადასაწყვეტ საკითხთა კატეგორიაში არ შედის.<sup>47</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას გამოკვეთილი ნიშან-თვისებანი ახასიათებს. ის ძირითადი სამართალწარმოების მიზანს ემსახურება, უნდა იყოს დავის საგნის პროპორციული, მატერიალურ-სამართლებრივი უფლებათა აღდგენისა და განხორციელების საპროცესო-სამართლებრივი საშუალებაა. აქ კი სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი დისპოზიციურობის პრინციპი კარგად ჩანს, რადგან დამცავი ღონისძიების გამოყენების ინიციატორი თავად მხარეა, ღონისძიებას აქვს დროებითი, წინასწარი, დროში მკაფიოდ განსაზღვრული ხასიათი და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების განმსაზღვრელი არ არის. მას ჩანაცვლებადი ხასიათი

<sup>44</sup> *Guangliang Z.*, Impact of New Chinese Civil Procedure Law On Interim Measures in IP Civil Litigation, China Patents & Trademarks, No 1, 2013, 8.

<sup>45</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5560-15.

<sup>46</sup> *Zoroska K. T., Ph.D.*, Interim Measures in IP Litigation from the Macedonian Perspective, Iustinianus Primus Law Review, 2013, 2.

<sup>47</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინება საქმეზე №28/4348-15.

აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლოა მეორემ შეცვალოს და შეიძლება, საერთოდაც გაუქმდეს.<sup>48</sup>

**4.1. ა) ყადაღის დადება მოპასუხის ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;**

სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს ყადაღა განეკუთვნება. იგი თავისი ბუნებით იძულების ის ფორმაა, რომლის შედეგადაც მესაკუთრეს ქონების განკარგვის შესაძლებლობა ერთმევა, მათ შორისაა: დაგირავება, იპოთეკა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა, თხოვება, ქირავნობა, იჯარის ხელშეკრულებების დადება და ა.შ. საფიქრებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქონება არ არის ყადაღის, ან სხვა რაიმე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ქვეშ, მესაკუთრეს თავისი საკუთრების განკარგვა ნებისმიერ დროს შეუძლია და ყოველივე ეს დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, რამეთუ პირისთვის, რომელსაც ქონების დაყადაღება საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სურს, ძალიან რთულია იმისა დამტკიცება, თუ რომელ მომენტში აქვს მესაკუთრეს ნივთის გასხვისების განზრახვა, რადგან მესაკუთრე და სხვა მესამე პირები კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან, რომლის შესახებაც სხვა პირთა ინფორმირებულობის ალბათობა ძალიან დაბალია და უმეტესად ფორს-მაჟორზეა დამოკიდებული და ასევე, ამგვარი განზრახვის დამადასტურებელი მტკიცებულების შეგროვების შესაძლებლობაც ძალიან მცირეა.<sup>49</sup>

სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“ შესაბამისად, ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება საკუთრების უფლებაში შემავალი აუცილებელი კრიტერიუმებია და მათი შეზღუდვა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე უნდა მოხდეს. საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძო-სამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას მოიცავს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით

<sup>48</sup> *Zoroska K. T., Ph.D., Interim Measures in IP Litigation from the Macedonian Perspective, Iustinianus Primus Law Review, 2013, 4.*

<sup>49</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N38/2727-17წ.

ქონების დაგროვებას”.<sup>50</sup> ამასთან, საკუთრების უფლების ფუნქციონალური განმარტებიდან გამომდინარე, ერთი პირის საკუთრების უფლება გარშემო საზოგადოების სხვა წევრებზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ამიტომ, კანონმდებლისთვის მოცემულობა, რომ საკუთრების სამართლებრივი მხარე დაარეგულიროს, მისი კონსტიტუციური ვალდებულებაა.<sup>51</sup> შესაბამისად, სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის ა) ქვეპუნქტში განსაზღვრული ქონების რაობის საკითხი და მისი დროებითი ღონისძიების საშუალებით გამოყენება კომპლექსურად უნდა იქნას განხილული და ყოველი ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქონების დაყადაღებით შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფა თანაზომიერების პრინციპს და საჯარო წესრიგს.

ყადაღა<sup>52</sup>, როგორც უფლების შემზღუდველი უფლება სასამართლოს, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული განჩინების, ბრძანების საფუძველზე პირის საკუთრების მიმართ გატარებული ღონისძიებაა, როდესაც მისი ქონება იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებებისთვის დროებით ვერ იქნება გამოყენებული<sup>53</sup>, აღნიშნულ შემთხვევაში იმიტომ, რომ გადაწყვეტილების აღსრულებას შემდგომ საფრთხე არ შეექმნას. (საბანკო ანგარიშის დაყადაღების დროს, ფიზიკურად რაიმეს გასვლა მოპასუხის მფლობელობიდან ვერ მოხდება.) შესაბამისად, მისი, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების სპეციფიური საშუალების გამოყენებისას, სამართლებრივ ჭრილში მკვეთრად უნდა იყოს დასაბუთებული სასამართლოს მიერ მისი შერჩევის მიზანშეწონილობა.<sup>54</sup>

აქვე უნდა შევნიშნოთ, მოცემული სახის აკრძალვა (ქონებაზე ყადაღის დადება) ეხება არა მხოლოდ მოპასუხეს, არამედ იმ მესამე პირებს, რომლებიც ამ ქონების მფლობელნი არიან. თავისთავად, კანონის ეს ჩანაწერი მესამე პირთა უფლებებს არ ლახავს, ვინაიდან აქ საუბარი არ არის მათ ქონებაზე. თუმცა, აქვე ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ყადაღის დადება ქონებაზე ამ ქონებით სარგებლობის

<sup>50</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/512 საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, 33-ე ველი.

<sup>51</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „კეტიტი“, თბილისი, 2013, 206.

<sup>52</sup> კანადელმა მორბენალმა ბენ ჯონსონმა მალმოს საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილი უწყების წინააღმდეგ თავისი სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფად ქონების დაყადაღების შესახებ მიმართა, სადაც აღნიშნავდა, რომ მისთვის ერთ-ერთ ღონისძიებაში მონაწილეობის საფასური არ იყო გადახდილი. სარჩელში იგი მიუთითებდა, რომ მის მიერ კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის ლეგიტიმური საფუძველი გახდა მოპასუხე მხარის მითითება, რომ ღონისძიებაში მოსარჩელის მონაწილეობა არასასურველი იყო. თუმცა, სასამართლომ აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილებაზე, მოსარჩელეს უარი უთხრა., Malmö district court of 5 August 1991 in case T 2661/91, *Westberg P.*, Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies In Law © 1999-2012, 538.

<sup>53</sup> Open-ended Intergovernmental Working Group on Asset Recovery, Forum for discussions on capacity-building and technical assistance, Study prepared by the Secretariat on effective management and disposal of seized and confiscated assets, Vienna, 24 and 25 August 2017, 15.

<sup>54</sup> *Cound J. J., Friedenthal J. H., Miller A. R., Sexton J. E.*, Civil Procedure Supplement, American Casebook series, West Group. ST. Paul, Minn., 1998, 163.

დამაბრკოლებელი ფაქტორი არ უნდა გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება ქონების განადგურების საწინდარი, ან ამით მისი საბაზრო ფასი არ შემცირდება.<sup>55</sup>

#### 4.1.ა.ა) ფიზიკური პირი;

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტში ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების დაყადაღებაზეა საუბარი, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან, ან სხვა პირთან. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ფული სამოქალაქო ურთიერთობის ცენტრალური ობიექტია, ვინაიდან რაიმეს საფასურად მოვალე კრედიტორს უმეტეს შემთხვევაში ფულს უხდის. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად ფულადი სახსრების დაყადაღება მოპასუხისთვის შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვინაიდან განიცადოს ის ზიანი, რომელიც ვალდებულების შესრულებამდე, ან სასამართლო პროცესის დასრულებამდე, ან დაწყებამდე, მისთვის აუნაზღაურებელი და შეუცვლელი იყოს. საბანკო ანგარიშზე თანხების ვადით განთავსებით, ხელშეკრულების მხარეების ანგარიშწორების საშუალებად თანხის გადარიცხვაზე შეთანხმებით, პირები სახელშეკრულებო ურთიერთობაში ბანკთანაც შედიან, რომელის სასარგებლოდ შესაძლოა გარკვეულ სასესხო ვალდებულებანიც აიღონ, რაც დროზე დათქმით, ერთდროულად, ან ნაწილ-ნაწილ უნდა შესრულდეს. ამიტომ, საჭიროა იმის განსაზღვრა, რამდენად მკაცრი საშუალება იქნება მოპასუხისთვის, ვთქვათ, საბანკო ანგარიშის გაყინვა და რა ოდენობის ზარალს განიცდის ის ამ მოპყრობით, როდესაც მას „სხვებთან“ სახელშეკრულებო ვალდებულებები აკავშირებს და ვალდებულების შესრულების ერთადერთი საშუალება საბანკო ანგარიშწორებაა. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არ არის მიზანშეწონილი, როდესაც ისეთ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მხარეებს ერთმანეთთან არაუზრუნველყოფილი სამოქალაქო ურთიერთობები აკავშირებთ, რითაც აღნიშნული სამართალურთიერთობის რისკები თავიდანვე იკისრეს.<sup>56</sup>

როგორც მოგვეხსენება, სსსკ-ის 193-ე მუხლი უზრუნველყოფის ღონისძიებაზე სასამართლოს მსჯელობას მოპასუხისთვის შეუტყობინებლად უშვებს. აღნიშნული, პრობლემატური აღმოჩნდა საქმეზე „Mitchell v. W. T. Grant Co.“, სადაც თავდაპირველად, კრედიტორმა მოვალის წინააღმდეგ მის მიერ შექმნილი საქონლის თანხის გადახდის გრაფიკის დარღვევის გამო სარჩელი აღძრა და უზრუნველყოფის საშუალებად შექმნილი პროდუქციის (მაცივარი, გადამრთველი, სტერეო-აპარატურა, სარეცხის მანქანა) დაყადაღება მოითხოვა. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კი, გამყიდველს საქონლის ფასის სრულად გადახდამდე დაკავების უფლებით უნდა ესარგებლა. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ რეალური საფრთხე იყო იმისა, რომ მოსარჩელე საქონელს გაასხვისებდა და ან რაიმე სხვა სამართლებრივი საშუალებით დატვირთავდა.

<sup>55</sup> ქურდაძე, შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, 526.

<sup>56</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №28/6144-15.

შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხის შეუტყობინებლად, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მხარის განაცხადი დააკმაყოფილა, რაც მოპასუხე მხარემ აშშ-ს კონსტიტუციის მე-14 შესწორების მოტივაციით გაასაჩივრა, რომ ის ინფორმირებული უნდა ყოფილიყო ამის შესახებ, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. 2 წლის შემდეგ კი, სხვა საქმეზე აშშ-ს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც მოპასუხის შეუტყობინებლად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას დასაშვებად მიჩნევდა.<sup>57</sup> თუმცა, როგორც აღინიშნა, პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე ეს დანაწესი ლოგიკურად მისაღებია.

#### **4.1.ა.ბ) იურიდიული პირი;**

იურიდიული პირის ანგარიშზე ყადაღის დადებით საქმე კიდევ უფრო რთულადაა. იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც საკუთარი ნებით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით ვერ შეძლოს კრედიტორის წინაშე აღებული ობლიგაციების შესრულება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში, როცა სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენება შეუძლებელია, იურიდიული პირის ანგარიშზე ყადაღის დადება დაუშვებელია. თუმცა, უნდა განიმარტოს, რომ იურიდიული პირის ანგარიშზე ყადაღის დადება შესაძლებელია იურიდიული პირი გადახდისუუნარობის, სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანოს. შესაბამისად, იმ პირობებში, როცა ნების თავისუფალი გამოვლენა სახეზეა, მსგავსი ტიპის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება დაუშვებელია. თავისუფალ ნებაში კი ის ფაქტი უნდა მოიაზრებოდეს, რომ მიმდინარე შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველი სახელშეკრულებოა და არა დელიქტი, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარის მიერ არაუზრუნველყოფილ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა მხოლოდ მისი გადაწყვეტილება იყო.<sup>58</sup>

#### **4.1.ბ) მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;**

სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური უნდა იყოს. უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების არათანმიმდევრული და კანონსაწინააღმდეგო შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა უთანასწორო პირობებში ჩაყენება არ შეიძლება.<sup>59</sup>

<sup>57</sup> *Schwartz M. M.*, Constitutional Law, Due Process, Prejudgment Seizure of Property, 52 Denv, 1975, 619-620.

<sup>58</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №28/6144-15.

<sup>59</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/906-15.

აშშ-ს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონის 65-ე მუხლი წინასწარი ამკრძალავი ღონისძიების გამოყენების მოპოვების სტანდარტს აწესებს, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მხარე, რომელიც ამ წინაპირობებს აკმაყოფილებს, სასამართლოს მიერ ღონისძიების გამოყენებამდე იმ კრიტერიუმებსაც უნდა ერგებოდეს, რომელიც მომავალში გამოსაყენებელ საშუალებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ცალკეული კრიტერიუმები კი ფედერალურ პრეცედენტულ სამართალში უნდა ვეძებოთ. სწორედ ცალკეული ფედერალური კანონები განამტკიცებენ იურიდიულად სხვადასხვა ფედერალური ოლქის მიერ გამოსაყენებელ ღონისძიებას და მის ფარგლებს.<sup>60</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოწმეთა ჩვენებები, რომელიც ფედერალური კანონის მიხედვით მნიშვნელოვანია, უნდა იყოს სრული და არ იყოს დამახინჯებული. ეს კი მოსამართლის მიერ პროცესის ხელმძღვანელობის ეფექტურობის გაზრდის შედეგია.<sup>61</sup>

კოსოვოს სამართლებრივ სისტემაში არსებული ვითარება აღწერს, რომ სამოქალაქო დავებში, სადაც მხარის მიერ განცხადებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, სასამართლო, როგორც წესი, განცხადებათა შესახებ სამართლებრივად გამართული განჩინების მიღებას ვერ ახერხებს, ვინაიდან ის გულმოდგინედ არ შეისწავლის ვითარებას და შესაბამისად, არასწორ განჩინებას იღებს, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ გადაწყვეტილების მიღებისთვის განკუთვნილ ვადას არღვევს. მაგ, 2009 წლის სექტემბერში, აპლიკანტმა, რომელიც მოპასუხესთან მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლებებით იყო დაკავშირებული და სასარჩელო წარმოებაში იყო საქმე ნაკვეთზე საზღვრის დადგენის შესახებ, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ნაკვეთზე არსებულ ბაღში მოპასუხისთვის რაიმე ქმედების განხორციელების აკრძალვა მოითხოვა, სასარჩელო მოთხოვნაში კი ის ბაღის მის საკუთრებად აღრიცხვაზე აპელირებდა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ რეალური საფრთხე არსებობდა იმის, რომ ღონისძიების გამოყენებულობის შემთხვევაში, მოპასუხე ბაღში ისეთ ცვლილებებს შეიტანდა, რომლითაც გადაწყვეტილებას აღსრულებას ხელი შეეშლებოდა. განცხადება სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, მეტიც ზეპირი მოსმენის დროს, 2010 წელს ეს საქმე სხვა საქმესთან გააერთიანა და ამით მისი, როგორც საქმის ინდივიდუალური მახასიათებლები უკუაკდო. აღნიშნული ჩავარდნა კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ადამიანის უფლებების დარღვევა იყო.<sup>62</sup>

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით შპს „ფ.-ს“ დირექტორს საწარმოს

<sup>60</sup> *Baicker-Mckee S., Janssen W.M., Corr J.B.*, A Student's Guide to the Federal Rules of Civil Procedure, West Publishing Company, ST. Paul, Minn, 1997, 613.

<sup>61</sup> *Cound J. J., Friedenthal J. H., Miller A. R., Sexton J. E.*, Civil Procedure Supplement, American Casebook series, West Group. ST. Paul, Minn., 1998, 164.

<sup>62</sup> *Organization for Security and Co-operation in Europe Mission In Kosovo*, Use of Interim Measures in Civil Proceedings in Kosovo, LSMS Issue 11 , December 2010, 5.



წარმომადგენლობითი საქმიანობის განხორციელების უფლება შეეზღუდა, რომელიც ქონების და ფულადი სახსრების განკარგვასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. აღნიშნული უფლებამოსილების შესრულება მას მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების თანხმად შეუძლია. ასე რომ, „გ. რ“-ის მიერ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიება და სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაისახეობა, პრაქტიკული და რეზულტატური კუთხით იდეტურია: დირექტორს ერთმევა პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე გარიგებათა დადების უფლებამოსილება.<sup>63</sup>

ის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის მოპასუხისთვის ქმედების შესრულების აკრძალვა პირთა კონსტიტუციური უფლებებით დაცულ სფეროში უნდა მოექცეს, საკამათო ნამდვილად არაა. მოქმედების შესრულების აკრძალვა მოპასუხისთვის იმთავითვე საკმაოდ მკაცრი სასჯელია, რადგან ის იმას ვერ ახორციელებს, რაც მას კანონით აქვს გარანტირებული. სსსკ-ის 198-ე მუხლის ეს ქვეპუნქტი კონკრეტულ მითითებას არ შეიცავს იმის შესახებ, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს მოქმედების აკრძალვა. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ის შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყება, ან გაგრძელება, რაიმე პროდუქციის წარმოება ეკრძალება. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის ამ სახის გამოყენება მთლიანად სარჩელის ხასიათზე, მოსარჩელის მოთხოვნაზეა დამოკიდებული.<sup>64</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხარის დასჯის მექანიზმად არ უნდა ტრანსფორმირდეს და ის კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებს უნდა ემსახურებოდეს.<sup>65</sup>

#### **4.1.გ) მოპასუხის დავალდებულება ქონება იძულებით სამართავად მმართველს გადასცეს;**

კერძო საკუთრების იძულების წესით სხვა პირისთვის გადაცემა საკუთრების უფლებაში ერთ-ერთ მტკივნეულ ჩარევას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ვალდებულია, მკაფიოდ განსაზღვროს, როგორც ჩარევის საფუძვლები, ასევე ჩარევის ფორმები. დროებითი მმართველის დანიშვნა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში უნდა განხორცილდეს.

საქართველოს კანონმდებლობა დროებითი მმართველის ინსტიტუტს არ იცნობს და არც მისი მოვალეობებია გაწერილი რომელიმე ნორმატიულ აქტში. ასევე, დროებით მმართველებს არ აკისრიათ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დირექტორისთვის გათვალისწინებული მოვალეობები. როგორც მრავალჯერ ითქვა, სარჩელის

<sup>63</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/5641-14.

<sup>64</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, 351.

<sup>65</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №28/790-16.

უზრუნველყოფის მიზანი მოპასუხისთვის ან მესამე პირისთვის ცალკეული ქმედებების აკრძალვისა, თუ დავალდებულების გზით, არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და მისი შეცვლის პრევენციის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა კი აღსრულების რეალური გარანტიების შექმნას ემსახურება და მართლმსაჯულების განხორციელების ფორმალურ ხასიათს ემტერება.<sup>66</sup> შესაბამისად, აქ გარკვეული საკითხები საკმაოდ პრობლემატურია.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე - „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნათელი მოჰფინა და შეავიწროვა სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის ის ბუნოდოვანი ჩანაწერი, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფისთვის მოპასუხისთვის მის მფლობელობაში არსებული ნივთის აღმასრულებლისთვის სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით გადაცემას ითვალისწინებდა. ეს მუხლი მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების დროს ფართო განმარტების საშუალებას აძლევდა, რაც ერთის მხრივ, სასამართლოს ხელისუფლების ეფექტურ განხორციელებას უწყობდა ხელს და ამავდროულად, მოსარჩელეს იურიდიული ინტერესიც პრიორიტეტულად დაცული იყო, მაგრამ, მეორეს მხრივ, ფაქტიურად არ არსებობდა ის სამართლებრივი ჩარჩო, სადაც მოპასუხეთა საკუთრების კონსტიტუციური უფლებებიც იქნებოდა დაცული. რეალურად, კანონმდებელს არ ჰქონდა განსაზღვრული თუნდაც ის სფეროები, რომელშიც ცალსახად ასეთი ჩარევა, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე, „მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით,“ უპირობოდ გაუმართლებელი იქნებოდა. საუბარი მაქვს იმაზე, რომ კონკრეტული ნიშნით უნდა გამორჩეულიყო, ვთქვათ, მედია-სივრცე, სადაც უამრავი ადამიანია დასაქმებული (თანამშრომელთა კონტიტუციური უფლებებში ჩარევა, ლაპარაკია კონსტიტუციური პროპორციულობის ტესტის განხორციელებაზე: სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის გ) ქვეპუნქტის გამოყენებისას დასაქმებულთა კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევის თანაზომიერებასა და ადეკვატურობაზე). აქვე, უნდა აღინიშნოს მედია-საშუალების, როგორც იურიდიული პირის და ქვეყანაში არსებული საინფორმაციო მაუწყებლის მართვის უფლების მინიჭება აღმასრულებლისთვის, რომელმაც ტელეკომპანიაში შესაძლოა რეორგანიზაცია დაიწყო, რამაც სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, არხისთვის გამოუსწორებელი ფინანსური და რეპუტაციული ზარალი მოიტანოს და აქედან გამომდინარე, ქვეყნის იმიჯიც შეილახოს. შესაბამისად, აღნიშნული ინტერესის დაცვა, ბუნებრივია,

<sup>66</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

კანონმდებლისთვის უპირატესია და მსგავს შემთხვევებში, ამგვარ განმარტებას საჭიროებს.

დროებითი მმართველის დანიშვნა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება, გარკვეულ შემთხვევებში გამართლებული შეიძლება იყოს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი მმართველი შესაძლოა დაინიშნოს მედიაში, მიეცეს მას იმის შესაძლებლობა, რომ საინფორმაციო და სარედაქციო პოლიტიკა მედიის მესაკუთრის შეხედულებებისაგან განსხვავებულად განსაზღვროს, მიანიშნებს იმაზე, რომ დროებითი მმართველის უფლებამოსილებების განსაზღვრა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განხორციელდეს, რათა შეცდომისა, თუ გაუმართლებელი თვითნებობის შედეგად მედიის დამოუკიდებლობა და მისი თავისუფალი გამოხატვის კონსტიტუციურ უფლება ეჭვქვეშ არ დადგეს.<sup>67</sup>

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტთან არსებული მუქი შენიშვნა: „ძალადაკარგულია „გ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისთვის მიყენებულ ზიანს)“ და მეორე განმარტება: „(ძალადაკარგულია „გ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას, ზემოთაღნიშნული სამართლებრივი პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის გზაა.

**4.1.დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;**

დროებითი ღონისძიებების გამოყენება მესამე პირთა ინტერესებს უხეშად არ უნდა ეხებოდეს. ამავედროულად, მესამე პირთა უფლებანი გამოსაყენებელი, ან მანამდე გამოყენებული საშუალების მიმართ უეჭველად უნდა დასტურდებოდეს. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას უზრუნველყოფის ღონისძიების ისეთი ობიექტი უნდა გამოიყენოს, რომელზეც სხვა პირები ლეგიტიმურ, სამართლიან ინტერესს ვერ გამოიჩენენ. დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნს ვალდებულია ახსოვდეს, რომ სასამართლოს მიერ კანონიდან გამომდინარე, ან დასაბუთებული მოსაზრების თანახმად, სხვა ღონისძიებების გამოყენება და მოპასუხის, ან მესამე პირებისთვის შეზღუდვის დაწესება, მას, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსარგებლეს,

<sup>67</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

ნივთზე, უფლებაზე რაიმე მესაკუთრეობრივ, ან „უფლების ხელშეწყობა“ სუბიექტად არ გადააქცევს.<sup>68</sup>

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი დ) ქვეპუნქტი ერთის მხრივ, შესაძლოა ბუნდოვანი იყოს. საკითხავია, „მოპასუხის მიმართ სხვა პირებისთვის ვალდებულების ან რაიმე სამართლებრივი ქმედების შესრულების აკრძალვა“ ექცევა, თუ არა რაიმე სამართლებრივ ჩარჩოში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შეზღუდვა მჭიდროდ არის, თუ არა დაკავშირებული დავის საგანთან, რომლის უზრუნველსაყოფადაცაა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ აქ საუბარია მესამე პირებისთვის მოპასუხის სასარგებლოდ სახელშეკრულებო, ფულად ან სხვა ვალდებულების შესრულების აკრძალვაზე. საფიქრებელია, რომ როგორც ყველა სამართალურთიერთობის დროს, სუბორდინაციის პრინციპი აქაც უნდა იქნეს დაცული, მესამე პირთა უფლებები დაუსაბუთებლად არ უნდა შეილახოს. ასე მაგალითად, ურთიერთობები, რომლებიც კერძო ხასიათის ავტონომიურობის პრინციპს სცდება და სამართალსუბიექტი, რომლის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესია, არ უნდა „იქნეს ჩაყენებული ისეთ უსუსურ“ მდგომარეობაში, როდესაც ის ვალდებულების შესრულების მიღებას ვერ შეძლებს. საუბარია, მაგალითად, კომერციულ ბანკზე, რომლის საქმიანობის მკაცრ შეზღუდვაზე, ან მის იმ ვითარებაში აღმოჩენაზე, როდესაც მოვალეები თავის სასესხო, თუ სხვა სახის ვალდებულებებს მის მიმართ ვერ ასრულებენ, იმ პირობებში, რომ დღევანდელი ფულთან დაკავშირებული სერიოზული, თუ ნაკლებად სერიოზული ურთიერთობანი საბანკო-საერთაშორისო, თუ ლოკალურ ანგარიშწორების საშუალებების გამოყენებას გვერდს ვერ უვლის, რადგან საბანკო სისტემით ანგარიშწორება ბევრად უფრო მარტივია. შესაბამისად, საჯარო ინტერესის დაუსაბუთებელი შეზღუდვა სარჩელის უზრუნველყოფის ამ საშუალების გამოყენებით დაუშვებელია.

შვეიცარიის კანონმდებლობა, ქართულის მსგავსად, ღონისძიების გამოყენების შესახებ განაცხადის დაკმაყოფილების, ან განცხადებაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხისთვის ამ ფაქტის არცოდნას უჭერს მხარს და ამით განსხვავებულ მიდგომას ემხრობა. სასამართლო, მის მიერ ღონისძიების დაწესების შემდგომ ამის შესახებ ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ვალის გადახდევინების ოფისს ატყობინებს, რომელიც თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებს მოპასუხეს და მესამე პირებს, რომელიც შესაძლოა ფლობდნენ მოპასუხის ქონებას. მესამე პირი კი, რომელიც თვლის, რომ მისი სამოქალაქო-სამართლებრივი, თუნდაც მფლობელობის უფლება ირღვევა, ხელმოცარული არ რჩება და აღნიშნული განჩინების შემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრება შეუძლია.<sup>69</sup> ერთი გაგებით, მესამე პირის მფლობელობაში მყოფი ქონების მოპასუხისათვის გადაცემის აკრძალვა შესაძლოა კორპორატიული საფარის არსებობას დაეფუძნოს. კორპორატიული საფარი კი

<sup>68</sup> Andrews N., Provisional and Protective Measures: Towards an Uniform Protective Order in Civil Matters, 6 UNIF. L. REV. N.S. 931, 2001, 935.

<sup>69</sup> Jørgensen J. C., Finding, Freezing and Attaching Assets, A Multi-jurisdictional Handbook, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2016, 278-279.

ნიშნავს იმას, რომ მესამე პირი, რომელიც კორპორაციაა და მოპასუხე, რომელიც ქონების მესაკუთრეა, შესაძლოა ოფშორული კომპანიისთვის ქონების გადაფორმების პროცესში ჩაერთონ, რაც შემდგომ ქონების შენარჩუნებას, იდენტიფიცირებას და გადაწყვეტილების აღსრულებას კიდევ უფრო გაართულებს. მოვალესა (მოპასუხე) და მესამე პირს შორის არსებული უბრალოდ ეკონომიკური ურთიერთობა ქონების უსაფთხოების და კრედიტორის უფლებათა დაცვისთვის არ არის საკმარისი. თუმცა, ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ მოსამართლის მიერ აღნიშნული დანაწესის გამოყენება სარგებლობა საკმაოდ პრობლემატურია.<sup>70</sup>

უნდა შეინიშნოს ისიც, რომ მესამე პირის ინფორმირებულობა იმის თაობაზე, რომ მან უნდა გამოკვეთოს თავისი ვალდებულება მოპასუხის მიმართ, რათა შემდგომ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განმცხადებელი საქმის კურსში იყოს აღნიშნულთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია. მესამე პირმა უნდა გამოვლინონ ყველა ის გარემოება, რომელიც მისი ვალდებულების შესრულებაზე ზეგავლენას მოახდენს.<sup>71</sup> მესამე პირი არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მან კრედიტორის (მოპასუხის) მიმართ დათქმულ ვადაში ვალდებულება შეასრულა და მოპასუხის შემდგომი შესაგებელი, რომლითაც ის მესამე პირს ვალდებულების დარღვევას ედავება და ამ დროს შესრულებული ვალდებულების მიმართ, ან ვალდებულების შესრულების პროცესში დროებითი ღონისძიების რომელიმე სახე იქნა გამოყენებული.

მარეგისტრირებული ორგანო და სხვა საჯარო უფლებამოსილების დელეგირებული სუბიექტები საქმიანობისას მკაცრად შემოსაზღვრული არიან კანონით. შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან მხოლოდ ზედმიწევნითი დასაბუთებაა საჭირო, რომ მათ კანონით მათთვის სავალდებულო მოქმედებანი არ შეასრულონ. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მარეგისტრირებული ორგანო სარეგისტრაციო წარმოებას აჩერებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმადაც, სანოტარო მოქმედებებიც შემოსაზღვრულია რეგულაციით და სანოტარო მოქმედების შესრულების უფლების შეზღუდვაც მკაცრადაა გაწერილი. ერთ-ერთ სამემკვიდრეო დავასთან დაკავშირებულ საქმეზე, სადაც მოსარჩელე პირველი რიგის მემკვიდრედ ცნობასა და ნოტარიუსისთვის შესაბამისი სამკვიდრო მოწმობის დავალებას ითხოვდა და სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხისთვის ქმედების აკრძალვის მოტივით აპელირებდა იმაზე, რომ სასამართლო წესით სარჩელის განხილვამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სადავო

<sup>70</sup> *Meier-Dieterle F. C.*, in: D. Hunkeler (ed.), *Kurzkommentar SchKG*, 2nd ed., ed. Daniel Hunkeler, Basel 2014, Article 271 paragraph 25; *Blätter für Zürcherische Rechtsprechung* 104 (2005) No. 8; see also BGE 107 III 33 (= Pra 70 (1981) No. 194); BGE 126 III 95 (= Pra 90 (2001) No. 52); BGE 102 III 165 (= Pra 1977 No. 17)., *Jørgensen J. C.*, *Finding, Freezing and Attaching Assets, A Multi-jurisdictional Handbook*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2016, 285.

<sup>71</sup> Uniform Act Organizing Simplified Recovery Procedures and Enforcement Measure, *Compilation of Treaties and Uniform Acts*, Article 156, 473.

საგნის საადრიცხო ბარათის მესაკუთრის გრაფაში ცვლილების შეტანა აკრძალვოდა, უზენაესმა სასამართლომ გააზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მესამე პირებს ეზღუდებოდათ სამართლებრივი მოქმედებების შესრულება და არა მოპასუხეს, თავად მოქმედების სამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელი იქნებოდა მათთვის მოქმედებათა შესრულების აკრძალვა.<sup>72</sup> ყურადღება გამიხვილებულია კონკრეტულ სამართლებრივ ვითარებაზე, როდესაც მოსარჩელის დასაბუთებამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენების შესახებ, შედეგი ვერ გამოიღო და ამასთან, მესამე პირებად ისეთი სუბიექტები მოგვევლინენ, რომელთაც სახელმწიფოსგან საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელების ვალდებულება აკისრიათ და მათთვის ამ უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვა, მომეტებულ დასაბუთებას მოითხოვდა: რატომ გაართულებდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას.

**4.1.ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;**

ისევე, როგორც ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღის დადების ღონისძიების გამოყენება, განმცხადებელს/მოსარჩელეს სასამართლოში ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის დამცავ საშუალებად ქონების რეალიზაციის შეჩერება შეუძლია გამოიყენოს, თუმცა გამონაკლისის სახით სსსკ-ში მითითებულია შემთხვევა, როდესაც სააღსრულებო წარმოება არ უნდა შეჩერდეს - მაშინ, როდესაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, იძულებითი აუქციონი საჯაროდაა გამოცხადებული. თუმცა, ამავე კანონის 36-ე მუხლის დ) ქვეპუნქტში არის ჩანაწერი, სადაც სადავო ქონების აღსრულების ნაწილში, მანამ, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული იქნება, აღსრულების შეჩერება შესაძლებელია.

ერთის მხრივ, დავის საგნის დაცვის საჭიროება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველია, თუმცა მხოლოდ ეს ვერ იქნება საკმარისი. უმნიშვნელოვანესია აპლიკანტის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების შესაბამისობა დავის საგნის დაცვის სამართლიანობასთან და ასევე, მხარეთა და მესამე პირთა ინტერესების დაბალანსებასთან და თანაზომიერების პრინციპის განხორციელებისთან.<sup>73</sup> „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრა ქონების ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ ხდება მაშინ, როდესაც მესამე პირი ცდილობს იმის დადასტურებას, რომ მას

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-587-925-07.

<sup>73</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

აღსრულების საგანზე გარკვეული უფლებები გააჩნია.<sup>74</sup> უფლებების არსებობა კი ჰიპოთეტური მოცემულობა არ არის და ის შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს დადასტურებული.

ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, რომელზედაც სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს, მხოლოდ ნივთიერად გამოხატული საკუთრების დადასტურების ფაქტი არაა, არამედ ეს არის პირის ის შესაგებელი, რომელთან დაკავშირებით განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს და დაამტკიცოს, რომ საკუთრების უფლება ეფექტურად და ზედმიწევნით კარგად განხორციელდება.<sup>75</sup> საქართველოს კანონით მოვალისთვის გათვალისწინებული ხარჯების გარდა, რომელიც მას იძულებითი აუქციონის ჩატარებისას ენიჭება, აუქციონში მონაწილეობისას მესამე პირთა „გარჯაც“ გასათვალისწინებელია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უკვე ხსენებული განმარტება კი მესამე პირთა სწორედ იმ უფლებას იცავს, რომელიც აუქციონის დასრულამდე მარეგისტრირებელ ორგანოში დეკლარირებული არ არის და ამით ის სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) ქვეპუნქტის მართლზომიერებას იცავს. აუქციონის წესით ქონების რეალიზაციის პროცესისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროს დასახელებული უზრუნველყოფის ღონისძიება განხილულ უნდა იქნეს, როგორც გამონაკლისი იმ ტიპის სარჩელთა უზრუნველყოფისთვის, რომლებიც გარკვეული სახის დავების ხასიათიდან მომდინარეობს. (მაგ. ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ დავა.)<sup>76</sup> თუმცა, მესამე პირთა ინტერესები აქაც თვალშისაცემია. საინტერესოა, რა ბერკეტი აქვს კანონმდებელს იმ პირთა დასაცავად, რომელთა ქონებაც, მათი ნების მიუხედავად, სარეალიზაციოდ გავიდა აუქციონზე და შემდეგ გაიყიდა კიდევ. გასარკვევია, უკვე რეალიზებული ქონების მიმართ მესამე პირის სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, რა პერსპექტივა აქვს მის სარჩელს და როგორ უნდა მოხდეს მისი კონტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა.

სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. ეს ჩანაწერი იმ პირთა უფლებებს იცავს, რომელთა ქონება შეცდომით მიიჩნევა მოვალისად (აღსრულების საგნად). სწორედ ამ შემთხვევაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1-ლი დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1263-1183-2017.

<sup>75</sup> „საკუთრების უფლება არ შემოიფარგლება „ხელთ არსებული საკუთრებით“, არამედ ასევე შეიძლება მოიცავდეს ფასეულობებს, მათ შორის პრეტენზიებს, რომელთან მიმართებაშიც განმცხადებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას გააჩნია სულ მცირე გონივრული და კანონიერი „მოლოდინი“, რომ ეფექტიანად ისარგებლებს საკუთრების უფლებით“; (მაგალითისთვის იხ. *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 83, ECHR 2001-VIII), „მოლოდინი“ „კანონიერად“ ჩაითვლება, თუკი ეს უკანასკნელი ეფუძნება კანონის დებულებას ან სამართლებრივ აქტს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინტერესს. (იხ. *Kopecný v. Slovakia* [GC], no. 44912/98, §§ 45-52, ECHR 2004-IX), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის განჩინება საქმეზე, *Saghinadze and Others v. Georgia*, პარ 103.

<sup>76</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და სასარჩელო მოთხოვნად ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება წამოაყენოს.<sup>77</sup> „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით დაწყებული იძულებითი აუქციონის დაწყება და ქონების გაყიდვით დასრულებით მესამე პირის უფლებები ილახება, რომლისთვისაც საჯაროდ გამოცხადებული აუქციონის შესახებ ინფორმაცია არ იყო ცნობილი და მისი ქონება გაიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ აუქციონის საჯარო წყაროების საშუალებით გამოცხადებით ინფორმაციის მიღების ტვირთი უკვე შესაძლო მიმღებზე გადადის, ფაქტი, რომ მესამე პირის ქონების რეალიზაცია მისი ნების გარეშე უკვე მოხდა, თავისთავად მისი, როგორც უფლებადარღვეული პირის დაცვას საჭიროებს. სასამართლო განმარტავს: „ერთი სარჩელის უზრუნველყოფა ვერ იქნება პრიორიტეტული სხვა სარჩელის აღსრულების მიზნებთან შედარებით, ანუ სასამართლო ვერ მიანიჭებს უპირატესობას განსახილველი სარჩელის დაცვას უკვე აღსრულების სტადიაზე მყოფ გადაწყვეტილებასთან შედარებით, ვინაიდან კანონიერ ძალაში მყოფი აღსასრულებელი გადაწყვეტილება უნდა აღსურლდეს და ამას ხელი არ უნდა შეეშალოს.“<sup>78</sup> სსსკ კი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ საშუალებებს, როგორცაა, უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა. თუ აპლიკანტი თვლის, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად მას სასამართლოსთვის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების შეთავაზება შეუძლია.<sup>79</sup> თუმცა, განმარტებებში საუბარი არ არის უკვე რეალიზებული ქონებით მესამე პირისთვის შესაძლო გამოუსწორებელ ზიანზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის წესით ქონება უკვე გაყიდულია, შეუძლებელია. შესაბამისად, მესამე პირი მნიშვნელოვანი, განწირული სოციალური და სამართლებრივი და პრობლემების წინაშე დგება.

უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისათვის უძრავი ქონების გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, ერთის მხრივ, დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე დაცული იქნება მოსარჩელის კანონიერი ინტერესი და მეორეს მხრივ, არ მოხდება მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შელახვა. აღნიშნული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ორივე მხარის ინტერესის დაბალანსებას უზრუნველყოფს.<sup>80</sup>

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1777-1755-2011.

<sup>78</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

<sup>79</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/906-15.

<sup>80</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №28/5926-16.



**4.1.ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;**

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, ორგანიზაციებსა, თუ თანამდებობის პირებს სახელწიფოებისგან გარკვეული უფლებამოსილებანი აქვთ დელეგირებული. შესაბამისად, ისინი გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ, ან ნორმატიულ აქტებს, რომლებიც პირის, ან პირთა ჯგუფისკენაა მიმართული და მათ სხვადასხვა უფლებაზე ახდენს ზეგავლენას, ან კი ზოგადი ქცევის წესს ადგენს.

ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები ამ პუნქტის ინტერპრეტაციის მაგალითებით მწირია. ეს ფაქტი გასაგებია. თუ მხარე, სადავოდ არ ხდის რომელიმე მუხლთან მიმართებით საკითხს, სასამართლო ამ მუხლს ვერ განმარტავს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული განმარტება სხვა სამართლებრივი პრობლემის განმარტებას ემსახურება.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 160.1-ე და 160.2-ე მუხლების თანახმად, განაცხადი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოყენებული ღონისძიების შეჩერების შესახებ დასაშვები იქნება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წინაშე აპლიკანტი დაამტკიცებს, რომ გამოყენებული საშუალება არ არის პროპორციული და აღნიშნული მის სამოქალაქო უფლებებთან და მიმდინარე საქმის წარმოებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე<sup>81</sup> განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში განაცხადი დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ ოფიციალურად აქტის შეჩერებაზე არ მიუთითებს. აპლიკანტი დროებითი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მითითებით ცდილობს დამატებითი დრო მოიპოვოს იმისთვის, რომ პროექტ „Nest-Energie“-თან დაკავშირებით თავისი ვალდებულების შესრულების ორი ვარიანტიდან, უკეთესი შეარჩიოს.<sup>82</sup>

ამიტომ, ვთვლი, რომ ამ კუთხით ევროპული გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანი და იმ სტანდარტისკენ სწრაფვა, რაც წამყვან სამართლებრივ სისტემებშია მოცემული.

**4.1.ზ) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.**

ამხანაგობის ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისეთ ნიუნსებთან გვაქვს საქმე, რომელიც ძალიან

<sup>81</sup> *Électricité de France SA (EDF) vs European Commission*, Order of the Vice-President of the Court, Case C-551/12, 7 March 2013. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62012CO0551>>.

<sup>82</sup> *Giráldez A. M. C.*, Interim Measures and EU Legislation, e-Revista Internacional de la Protección Social, ISSN 2445-3269. 2016, Vol. I, № 1, 2016, 139-140.

ინდივიდუალური და უზრუნველყოფის ღონისძიებათა სხვა სახეებთან შედარებით უფრო სპეციფიურია. სასამართლომ კი სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება კონკრეტულად იმ სარჩელის უზრუნველსაყოფადაც შეიძლება დაუშვას, რომელზედაც საქმის წარმოების განახლების შესახებაა განცხადება შეტანილი<sup>83</sup> და მაშინ, როდესაც მოსარჩელე არ ეთანხმება დაკავებული თანხის რაოდენობას<sup>84</sup> და სააღსრულებო ფურცლის რელევანტურობას სასარჩელო წესით ხდის სადავოდ.

ამხანაგობის სხვა პირთა მიმართ არსებული ვალდებულებებისათვის ამხანაგობის წევრები პასუხს სოლიდარულად აგებენ. შესაბამისად, ამხანაგობის ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი პრობლემა სახეზეა. კერძოდ, ძალიან რთულია ხელშეკრულებათა ტიპის განსაზღვრა, ანუ რის წინაშე დგას უფლებადარღვეული პირი, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებასთან (ამხანაგობასთან), თუ შერეულ ხელშეკრულებასთან (ამხანაგობა, ნასყიდობა, ნარდობა და ა.შ.) ხელშეკრულების ტიპის დადგენის შედეგად სარჩელზე მატერიალური სამართლიდან გამომდინარე მოსარჩელის სარჩელზე შესაბამის მოპასუხეთა წრე, პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი იდენტიფიცირდება. სწორედ, ამის შემდეგ ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნა (ანალოგიურად დგას საკითხი სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების წარდგენის დროს). თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებაში ზედმიწევნით ნათლად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს მითითებული ზემოხსენებული კრიტერიუმები, რადგან სხვაგვარად განცხადების დასაშვებად ცნობამ, შემდგომ წარმოებაში მიღებამ და მოპასუხეთა წინააღმდეგ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ შესაძლოა იმ პირთა უფლებები შელახოს, რომლებიც მითითებულ სარჩელზე სათანადო მოპასუხეებს არ არიან.<sup>85</sup> უფლების შელახვა კი მესამე პირთა იმ უფლებათა უფლებელყოფას გულისხმობს, როდესაც მათ უზრუნველსაყოფად მისაქცევ ქონებაზე მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

აგრეთვე ნიშანდობლივია, რომ მრავალსართულიან შენობაში თითოეულ მესაკუთრეს მიწაზე უფლებები შესაბამისი წილი აქვს განმტკიცებული. ამიტომ, სხვა მესაკუთრეთა სამართლებრივ მფლობელობაში არსებულ მიწაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, დაუშვებელია. ამ შემთხვევაში კი, მოსარჩელემ უნდა მოიძიოს თავისუფალი უძრავი ქონება და დაიდენტიფიციროს, ვინაიდან სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიებები ამ ქონებაზე უნდა გამოიყენოს, რათა მესამე პირების უფლებები დაუსაბუთებლად არ შეილახოს და

<sup>83</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 336.

<sup>84</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, 528.

<sup>85</sup> სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა, შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2013 წლის 18 ივლისი, 7-8, <<http://www.supremecourt.ge/files/upload/file/pdf/shexvedrisshejameba.pdf>>.

ამით მოსარჩელეს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშვას.<sup>86</sup>

#### **4.2. სარჩელის უზრუნველყოფის სხვა, კანონით გაუწერელი ღონისძიებები და მათი გამოყენება სასამართლოს მიერ.**

სსსკ-ი 198-ე მუხლიდან, სადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ჩამოთვლის, ცალკე ნაწილად გამოყოფს სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას და მეტიც, უზრუნველყოფის რამდენიმე ღონისძიების ერთობლივად გამოყენების საკითხს. ეს კი კანონით ღონისძიებათა არაამომწურავი ჩამონათვალის შედეგია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო არ არის შებოჭილი ამ ღონისძიებათა გამოყენებისას.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათაგან (ბე, გირაო, იპოთეკა, დაკავების უფლება, საბანკო გარანტია და ა.შ), აგრეთვე, იძულებითი აღსრულების ღონისძიებათაგან უნდა გაირჩეს, რათა დიფერენციაციის არარსებობა სამართლებრივად უვარგისი განჩინების საწინდარი არ გახდეს.<sup>87</sup>

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ფართო დისკრეციას აძლევს. ბუნებრივია, სამოქალაქო ურთიერთობათა მრავალფეროვნების მზარდი მატებიდან გამომდინარე, კანონმდებელი შეგვეზღუდა იმით, რომ გამოსაყენებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი ამომწურავი ყოფილიყო, არ იქნებოდა სამართლიანი. ეს ასე რომ მომხდარიყო, კანონი მუდმივ გადახედვას და კორექტირებას მოითხოვდა, რაც მიმდინარე, თუ მომავალ სამოქალაქო ურთიერთობებს დააზიანებდა და საფრთხეს შეუქმნიდა, ვალდებულებათა შესრულებლობას წააქეზებდა და ამით ეს ურთიერთობები ქაოსით იქნებოდა მოცული. ეს ასე რომ არ მომხდარიყო, კანონმდებელმა ის სამართლებრივი საფუძვლები და კრიტერიუმები განსაზღვრა, რომლებიც საკუთრების თვითნებურ, გაუმართლებელ შეზღუდვას ოპონირებას გაუწევდა. ამიტომ, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაწერილ, უკვე დამუშავებულ ღონისძიებათა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილში ჩაწერილ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, მოსამართლის ფართო დისკრეციის შეპირისპირებისას, სამართლებრივი პრობლემის ინდივიდუალურობამ უკვე არსებული საუკეთესო პრაქტიკის უგულვებლყოფა, ჩამოთვლილ ღონისძიებათა დაუსაბუთებელი გამოყენებლობა და ამის საფუძველზე, მე-3 ნაწილის დანაწესის უადგილო გამოყენება არ უნდა გამოიწვიოს.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 198-ე მუხლი კი ჩამოთვლის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, თუმცა პირდაპირ არ მიანიშნებს სასამართლოს

<sup>86</sup> სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა, შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2013 წლის 18 ივლისი, 7-8, <[http://www.supremecourt.ge/files/upload\\_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf)>, 8-9.

<sup>87</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, 530.

უფლებამოსილებაზე, დანიშნოს დროებითი მმართველი და მისცეს მას მასობრივი საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა. იქვე მაგალითად მოჰყავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლებიც დროებითი ადმინისტრაციის, ან მეურვის დანიშვნის სახით, რომლის მიზანი მეანაბრეთა, კრედიტორთა ინტერესების დაცვაა, სპეციალურ ღონისძიებათა ჩამონათვალს ითვალისწინებს და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ კონკრეტული კანონებისგან განსხვავებით, მთავარ სამოქალაქო საპროცესო მოქმედებათა სახელმძღვანელოში, ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე დეტალური განმარტება არ მოიპოვება, ბრწყინვალე განმარტებით ამარაგებს მოსამართლეს, როცა ამბობს, რომ „დისკრეცია არ შეიძლება გულისხმობდეს იმაზე უფრო ინტენსიური ჩარევის შესაძლებლობას, ვიდრე ეს სახელდებულია კანონში,“ და იქვე განმარტავს, რომ ღონისძიების სიმკაცრიდან გამომდინარე, არც სადავო ნორმა და არც საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს წესს, რომელიც დროებითი მმართველის დანიშვნის შემდეგ საკუთრების უფლების შეზღუდვას პროპორციულობის ტესტის საფუძველზე უზრუნველყოფდა.<sup>88</sup> შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ისევე როგორც, მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსის ცენზი აღნიშნული სამართლებრივი პრობლემის სიმძაფრიდან მომდინარეობს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სახელშეკრულებო კავშირთა სიმრავლემ და კანონის ამ სიმრავლის პირისპირ მზადყოფნაში არ ყოფნამ, ამ ნორმის ნორმატიულ შინაარსზე ცენზურის ფარგლების გაზრდა გამოიწვიოს.

### 4.3. რამდენიმე უზრუნველყოფის ღონისძიების ერთობლივად გამოყენება;

სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებისას მხარის მიერ გაკეთებული განაცხადით არ არის შეზღუდული. ეს იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია გამოიყენოს, როგორც, მაგალითად, ყადაღა მთელ ქონებაზე, ან ნაწილზე, რომელიც თავისი ფასით სარჩელის ღირებულების ექვივალენტია, რაც შესაბამისად, აღძრული მოთხოვნის ხასიათს უნდა ესადაგებოდეს,<sup>89</sup> ან ორი, ან სამი უზრუნველყოფის ღონისძიება შეუთავსოს ერთმანეთს: მაგ, ქონებას მიენიჭოს ყადაღა და მოპასუხეს ნივთით სარგებლობაც აეკრძალოს.<sup>90</sup>

ქართული სასამართლო პრაქტიკა რამდენიმე სახის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთად გამოყენების რისკებსა და აუცილებლობის საკითხებზე განმარტებებით არ არის მდიდარი. გადაწყვეტილებები ძირითადად სრულდება განმარტებით, რომ რომ მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების

<sup>88</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

<sup>89</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, 530.

<sup>90</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 336.

გამოყენების თაობაზე სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილს ვერ დაეყრდნობა, რადგან დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანხმად, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აღსრულების შეყოვნება, შესაბამისად, მისი (მათ შორის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების) სხვა ვარიანტები 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ „სხვა ღონისძიებად“ ვერ ჩაითვლება.<sup>91</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთდროულად გამოყენება უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი და ამან მოპასუხის, როგორც შედარებით დაუცველი მხარის უფლებები მნიშვნელოვნად არ უნდა შელახოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი ღონისძიება არ არის საკმარისი ღონისძიების მიზნის შესასრულებლად.

ერთ-ერთ საქმეში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, მოსარჩელემ, იმისათვის, რომ მოვალეს (მოპასუხეს) დამსაქმებლისგან შრომითი ხელშეკრულებით მისთვის კუთვნილი თანხა არ მიეღო, ანუ დამსაქმებელს, როგორც მოვალეს, დასაქმებულის წინაშე, როგორც თანხის მიმღებისთვის, ვალდებულება არ შეესრულებინა, ხელფასი არ გადაეხადა, ავტომობილთა პარტიის დაყადაღება მოითხოვა, რომლის შემდგომი რეალიზაცია, ან სხვა ქმედება დასაქმებულის ხელფასის წყარო იქნებოდა. სასამართლომ განცხადება დააკმაყოფილა და ის დამსაქმებლის გენერალურ მენეჯერს ჩაბარდა (რომელიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, თავის მხრივ, გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოვალედ მოგვევლინა), თავად დამსაქმებელი კი ამ დროს ლუიზიანაში არ იმყოფებოდა. დამსაქმებელმა ლუიზიანას პირველი ინსტანციის ფედერალური სასამართლოს განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, სადაც აღნიშნული სასამართლოს იურისდიქცია დააყენა ეჭვქვეშ იმ მოტივით, რომ მისი მუდმივი საცხოვრებელი, ადგილსამყოფელი მისისიპის შტატი, ქალაქი ჯექსონი იყო. ფედერალურმა საოლქო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა განჩინება და განმარტა, რომ განჩინება დამსაქმებელთან არსებული (იგულისხმება მისი განკარგვის არეალში არსებული (მოსარჩელის მოვალედ)) მოვალისთვის განკუთვნილი თანხის (სავარაუდოდ, ხელფასის, ან მოგების) დაყადაღების შესახებ დამსაქმებელს პირადად არ ჩაბარებია, რაც განჩინების გაუქმების საფუძველი იყო.<sup>92</sup>

მიუხედავად ფედერალური კანონის პროცედურული დარღვევისა, როგორც დავინახეთ, აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ორი სხვადასხვა ღონისძიება გამოიყენა: ყადაღის დადება ქონებაზე და მესამე პირისათვის მოპასუხის მიმართ ვალდებულების შესრულების აკრძალვა, რომელთა ერთობლივად გამოყენებლად ლეგიტიმური მიზნის მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე №ას-693-663-2014. აგრეთვე, იხ. უზენაესი სასამართლოს განჩინებები: №ას-3-3-2017, №ას-693-663-2014.

<sup>92</sup> *McMahon H. J.*, Civil Procedure, 24 LA. L. REV. 291, Louisiana Law Review, 1964, 294.

დადგებოდა: ვალდებულების შესრულების აკრძალვა ქონებაზე ყადაღის დადების გარეშე ვერ მოხდებოდა. ერთი მეორეს განმაპირობებელი აღმოჩნდა.

#### V. ზიანის ანაზღაურების საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას;

ზიანის ანაზღაურების საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ვინაიდან, კანონმდებელი სამოქალაქო ურთიერთობებში უფლებაუნარიან და ქმედუნარიან სუბიექტებს მაქსიმალურად თანაბრად უნდა მოექცეს, სტატუს-კვოს აღდგენის, მხარეთა ინტერესების ზედმიწევნით თანაბრად დაცვის საშუალებების დადგენა მისი მთავარი მოვალეობაა. არ შეიძლება ერთი მხარე იმდენად პრივილეგირებულ მდომარეობაში აღმოჩნდეს, რომ მეორემ საკუთარი მინიმალური, თუ კუთვნილი სარგებელი ვერ მიიღოს, საკუთრების უფლება შეელახოს და ა.შ. უფლების მზღლდავი საკანონმდებლო რეგულირება საჯარო მიზნის შესაბამის და უნივერსალურ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და შეზღუდვის ინტენსივობა ამ მიზნის პროპორციულ ჩარჩოებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამიტომ, მიზნის მიღწევისათვის ადამიანის უფლებათა მასობრივი, ულიმიტო შეზღუდვა დაუშვებელია.<sup>93</sup> უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის ხარისხი ამ საშუალებათა ბუნებას ამრავალფეროვნებს. ყველაზე რთული საკითხი კი მოპასუხისთვის მოსარჩელის იურიდიულ წადილთა სიმკაცრეა.<sup>94</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა არის იმის გარანტი, რომ, თუ ღონისძიება გაუმართლებელი აღმოჩნდა, მოპასუხის მიერ განცდილი ზიანი, ანაზღაურდება.<sup>95</sup> აქვეა, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რაც მოპასუხის იმ სარჩელის უზრუნველყოფას ნიშნავს, რომელიც მან მოსარჩელეს წინააღმდეგ შესაძლოა აღძრას სწორედ იმ ზიანის დაზღვევისთვის, რაც მას მოსარჩელის მიერ მისი სარჩელის უზრუნველყოფის გამო მიადგა.<sup>96</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ზიანის ანაზღაურების სუბიექტი მოპასუხეა. სწორედ მისი ქონების, ინტერესის გამოყენებით მოსარჩელე განახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს. ამიტომ, ზიანის ანაზღაურების ნაწილის ადრესატი, ცხადია, ის არის. შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის

<sup>93</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>94</sup> *Rieter E. R.*, Provisional Measures in International Human Rights Adjudication, Preventing Irreparable Harm, Intersentia, 2010, 21.

<sup>95</sup> *ბოელინგი კ., ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004, 142, ნაშრომიდან: *ძლიერიშვილი ზ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალი (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2018, 9.

<sup>96</sup> *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, 355.

აუცილებელი დანაწესის მიხედვით, გადაწყვეტილების აღსრულების განხორციელების პერიპეტიების განსაზღვრა, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციებს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>97</sup>

სსსკ-ის 199-ე მუხლი მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ საშუალებას იყენებს. ესენია: ა) მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ მოსარჩელე მიუთითებს სარჩელის უზრუნველყოფაზე, მოპასუხეს მისთვის მოსალოდნელი, განჭვრეტადი ზიანის ანაზღაურებას მოთხოვნა არა ანაზღაურებით, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფით შეუძლია და ბ) მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხეს მიადგა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით.<sup>98</sup> აღნიშნულ ქვეპუნქტში ჩაწერილი დანაწესის გამოყენება მოპასუხეს იმ წინაპირობების არსებობისას შეუძლია, როდესაც სარჩელი მოსარჩელემ დროულად არ შეიტანა სასამართლოში, რის საფუძველზე დროებითი ღონისძიება გაუქმდა, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ან, მაშინ როდესაც მოპასუხეს მიადგა ზარალი, რომელიც მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.<sup>99</sup>

## **5.1. მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა;**

### **5.1.ა) მოპასუხის განცხადების საფუძველზე;**

მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პრაქტიკა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან წარმოიშვა და ამ ფაქტმა, მისი, როგორც შედარებით „დაუცველი მხარის“ დამცავი საშუალების ეფექტურობას, თავიდანვე გაუსვა ხაზი.<sup>100</sup> მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოსარჩელის მისამართით ერთგვარი შეგებებული, საპასუხო უზრუნველყოფაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს ყველა შემთხვევაში არ ხდება. მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების გარანტიები კანონმდებლობით საკმარისად უნდა იყოს რეგულირებული.<sup>101</sup> მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს, აგრეთვე, არსებობს ზიანი, რომელიც მოპასუხისთვის ღონისძიების გამოყენებითაა გამოწვეული, ან შეიძლება გამოიწვიოს. ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, სასამართლოს დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე ხდება.<sup>102</sup>

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე №-859-825-2016.

<sup>98</sup> *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, 355.

<sup>99</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2018, 10.

<sup>100</sup> *Zuckerman A. A. S.*, *The Undertaking in Damages - Substantive and Procedural Dimensions*, 53 Cambridge, 1994, 546.

<sup>101</sup> *Zuckerman A. A. S.*, *The Undertaking in Damages - Substantive and Procedural Dimensions*, 53 Cambridge, 1994, 546.

<sup>102</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/5617-14.

როდესაც მოპასუხის განცხადების თანახმად, მისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის განაცხადის განხილვა ხდება, ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებად იქცევა<sup>103</sup> და სწორედ მან უნდა ამტკიცოს ის, რომ შერჩეული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლებები დაუსაბუთებლად შეილახება, მას ზიანი უკვე ადგება, ან ეს გარდაუვალია. „ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი. დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ.“<sup>104</sup> ამასთან ერთად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1-ე მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მაღალ სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1-ე მუხლი).<sup>105</sup> ლოგიკურია, უკვე დადასტურებული უზრუნველყოფის ღონისძიებიდან გამოწვეული შესაძლო ზარალი ბევრად განჭვრეტადი და მოსალოდნელია, ვიდრე თავად დროებითი ღონისძიების ეფექტურობა.

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო სწორად მოიქცა, როდესაც მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა დაავალა და ამისთვის ვადაც დაუთქვა, რათა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხა განეთავსებინა, თუმცა ეს ვადა უშედეგოდ გავიდა. ამის შემდეგ კი, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გააუქმა, რადგან მოსარჩელე მხარემ მოპასუხისთვის სავარაუდო ზიანი ვერ ანაზღაურა.<sup>106</sup> აღნიშნული კონკრეტულ სიტუაციები საპასუხო უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე მიუთითებს, იმაზე, რომ მოპასუხის ინტერესი დროულად, კანონით დადგენილ ვადაში უნდა დაკმაყოფილდეს.

### 5.1.ბ) სასამართლოს ინიციატივით;

სამოქალაქო სამართალწარმოების დროს სასამართლო პროცესში ჩარევის საკითხში საკმაოდ შეზღუდულია. ეს კი შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარეობს. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა იმ იდენტურ შესაძლებლობებზეა დამყარებული, რომელიც მათი სათანადო საპროცესო

<sup>103</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-929-879-2015.

<sup>105</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1041-2018.

<sup>106</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-759-718-2015.



ინსტრუმენტებით შეესებას მოასწავებს.<sup>107</sup> შესაბამისად, სასამართლოს ინიციატივით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით შესაძლო ზიანის უზრუნველყოფა შეჯიბრებითობის პრინციპის უგულვებელყოფით არ უნდა მოხდეს.

თეორიის დონეზე, მტკიცების ტვირთს „კანონით დადგენილ ვალდებულებად“ ვერ მოვიაზრებთ, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მისი შეუსრულებლობისთვის პირდაპირი მნიშვნელობით სანქციას არ აწესებს.<sup>108</sup>

სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ხაზგასმულია მტკიცების პროცესის მსვლელობისას, ან საწყის ეტაპზე სასამართლოს ინიციატივის ფარგლებზე, საიდანაც დასკვნაა ის, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს კანონით მისთვის დასაშვებ ფარგლებს. მართალია, აღნიშნული პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლოს სულ ცოტა შემთხვევაში აძლევს მისი გამოყენების საშუალებას, თუმცა სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი სწორედ აღნიშნული შემთხვევაა.

სასამართლო დისპოზიციურობასა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებით დადგენილ ჩარჩოებში ზის, ე.წ. „ოქროს შუალედში“, სასამართლოს დამკვირვებელ, პასიურ პოზიციასა და მხარეთა აქტიურ როლს შორის. მტკიცებულებათა შეფასება, არ უნდა მივიჩნიოთ ქმედებად, როდესაც სასამართლო მტკიცებით საქმიანობას ახორციელებს, რადგან ასეთ დროს სასამართლო თავად იქნება მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე.<sup>109</sup>

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა.<sup>110</sup> სასამართლომ, როგორც უზენაესი მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანომ, მხარეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელება თანაბრად უნდა შეძლოს. სწორედ, ამიტომ არ ჩაითვლება მის მიერ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოსარჩელისთვის გარანტიის სახით დაკისრება შეჯიბრებითობის პრინციპში ჩარევად. სწორედ ის ხელმძღვანელობს სამართალწარმოების დროს შეჯიბრებითობის პრინციპის სწორ და ეფექტურ მსვლელობას.

მოპასუხე, რომლის წინააღმდეგ არის ის გარემოებაც, რომ „უზრუნველყოფის გარანტია არ ნიშნავს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ავტომატურად ანაზღაურებას, არამედ გულისხმობს

<sup>107</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

<sup>108</sup> გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი: მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 11.

<sup>109</sup> გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი: მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 26.

<sup>110</sup> იქვე, 98.

მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას<sup>111</sup> მას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებს. სასამართლომ კი, რომელსაც კანონის ძალით მინიჭებული აქვს უფლება საკუთარი მიხედვლებით, ფაქტობრივი გარემოებების აწონ-დაწონვის საშუალებით, შედარებით დაუცველი მხარის ინტერესები გაითვალისწინოს და სამოქალაქო სამართალში სასამართლოს ძალზედ შეზღუდული ჩარევის შესაძლებლობა რეალიზდეს. მან, როგორც „ბრძენმა მსაჯულმა“ მკაფიოდ უნდა გააანალიზოს ამ უფლების გამოუყენებლობით მოპასუხისთვის მიყენებული ზარალის (ზიანის) მოცულობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოსარჩელისთვის დავალება თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოცულობას არ უნდა სცდებოდეს. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის აღბათობის ვარაუდზეა აგებული.<sup>112</sup>

თუმცა, აქვე უნდა თვალნათლივ უნდა განიმარტოს, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა თავისთავად არ ართმევს უფლებას მოპასუხეს ზიანის დადგომის შემთხვევაში, საერთო წესის დაცვით, მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზაცია.<sup>113</sup>

### **5.1.2. მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხეს მიადგა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით;**

დროებითი ღონისძიება იმ წინასწარი, მოსალოდნელი რისკის შესაძლო განხორციელების პრევენციისთვის გამოიყენება, რომელიც მოსარჩელისკენაა მიმართული. ამ დროს, მოსარჩელის და მოპასუხის ინტერესთა გაწონასწორება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამ გზის გავლის შემდგომ კი უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული შედეგების განჭვრეტის დროა. ახლა, მოპასუხის მნიშვნელობა იკვეთება, იმიტომ, რომ მას წინასწარი საშუალების გამოყენებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია.<sup>114</sup> აქვე, სარჩელზე უარის თქმა, უსაფუძვლო სარჩელი, მიუხედავად უზრუნველყოფის ღონისძიების სარჩელის აღძვრამდე გამოყენება, ან სარჩელის არაღძვრა უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების გამომწვევი გარემოებაა. თუ ეს წინაპირობები არ გვაქვს სახეზე, ზარალის (ზიანის) ანაზღაურება

<sup>111</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1344-2018.

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ას-499-475-2013.

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის განჩინება საქმეზე №ას-402-375-2017.

<sup>114</sup> Méndez F. R., Provisional Remedies in Spanish Civil Procedure, 2000, 17, <[http://www.rya.es/articulos/Provisional %20Remedies in Spanish Civil Procedure.pdf](http://www.rya.es/articulos/Provisional%20Remedies%20in%20Spanish%20Civil%20Procedure.pdf)>.

დაუშვებელია, რადგან დასახელებული კანონისმიერ წინაპირობათაგან არცერთი არ არსებობს.<sup>115</sup>

სასამართლოს მიერ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე მისთვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თანხმობა რელევანტური მტკიცებულებებით უნდა დასტურდეს. მოსარჩელე შესაძლოა შეეცადოს ფაქტების დამალვას, ან სულაც დაამახინჯოს ის, რასაც წინასწარი საშუალების მისთვის სასარგებლოდ გამოყენებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა, მოსარჩელის მხრიდან საპროცესო საშუალების ბოროტად გამოყენება, მოსამართლის „ჩიხში შეყვანა“, სასამართლოს უპატივისცემულობას უტოლდება და ამის გამოვლენის შემთხვევაში, მას სხვადასხვა პასუხისმგებლობები შესაძლოა დაეკისროს.<sup>116</sup>

ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი მოპასუხის რეაბილიტაცია, მიყენებული დანაკლისის გამოსწორებაა.<sup>117</sup> ამიტომ, ამ დროს პასუხისმგებლობის მოსარჩელეზე დაკისრებისთვის მთავარი წინაპირობა - ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის იურიდიულად მნიშვნელოვანი მიზეზობრივი კავშირის არსებობა უნდა დადასტურდეს.<sup>118</sup> იურიდიული ლიტერატურაში არსებული მიგნება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოპასუხის მიერ შემდგომი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებაა, მოპასუხის დამცავი ბერკეტია. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მისი, როგორც შედარებით „დაუცველი“ მხარის საპროცესო საშუალებათა არსენალი ფართო არ არის (მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე განჭვრიტოს ის, რომ მან შესაძლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გაუჩნდეს, რადგან მოსარჩელის მიერ შეტანილი სარჩელის ბედი ჯერ კიდევ გადაუწყვეტია), შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, მას სასამართლო ზიანის ფაქტში შეიძლება დაარწმუნოს. მტკიცებულებათა სარწმუნოობა, ამ დროს, ცხადია, გადამწყვეტ როლს თამაშობს.

სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ ფულადი მოთხოვნის არსებობისას, მას ქონების საფასური უნდა აჭარბებდეს, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ ფორმალურადაა არ გამოდგეს. სააუქციონო წესების გათვალისწინებით, როდესაც ქონება აუქციონზე დაბალ ფასში, კერძოდ,

---

<sup>115</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №28/1798-13.

<sup>116</sup> *Zuckerman A. A. S.*, *The Undertaking in Damages - Substantive and Procedural Dimensions*, 53 *Cambridge L.J.* 546 (1994), 557.

<sup>117</sup> *Looschelders*, *Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 299. წიგნიდან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 408-ე მუხლის კომენტარი, 3. <http://www.gccc.ge/>.

<sup>118</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1009-945-2012.

განახევრებულ, გამეოთხედებულ ან ნულოვანი შეთავაზების პირობებში<sup>119</sup> გადის, მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა სწორედ იმას გულისხმობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით შესაფერისი და ზომიერი ღონისძიება შეირჩეს.<sup>120</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სარჩელის ვადამდე, წინასწარ, არსებით სასამართლო განხილვამდე დაკმაყოფილებას არ მოასწავებს.<sup>121</sup> სასამართლო ასევე განმარტავს, რომ უზრუნველყოფა, რომელიც სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით თვალნათლივ შეუსაბამოა, იმ ფარგლებში, რითაც საჩივარია შემოსაზღვრული, მთლიანად ან ნაწილობრივ უქმდება, რაც სარჩელის უსაფუძვლობით გამოწვეული ნამდვილად არ არის.<sup>122</sup>

სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნავს, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება 2010 წლის 2 იანვრის ჩათვლით უნდა შესრულებულიყო, 2010 წლის 10 მაისს უძრავ ნივთზე დადებული ყადაღა კი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დათქმულ დროს შეუსრულებლობასთან დაკავშირებული არ იყო და იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის თანხის მიღებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად ყადაღის გამოყენება ამ ფულის დაბრუნებას ხელს, რაღა თქმა უნდა, არსებითად ვერანაირად ვერ შეუშლიდა. პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად ყადაღის გამოყენების გამო ზიანის მიყენების ფაქტი საქმის მასალებით არ დადასტურდა.<sup>123</sup>

## VI. ვადები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას;

მხარეთა მიერ სამოქალაქო პროცესზე ეფექტურად ზემოქმედებისთვის და სასამართლოსთვის სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების მისაღებად ვადა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვადის საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოების დროს რამდენიმე პერსპექტივით შესაძლოა იქნეს დანახული. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის, რომ მხარეებს ადეკვატური დრო უნდა მიეცეთ

<sup>119</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილებით საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

<sup>120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-972-936-2016.

<sup>121</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/4597-14.

<sup>122</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/62-14.

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1009-945-2012.

იმისათვის, რომ მოიპოვონ მტკიცებულებები, მოამზადონ არგუმენტები, რომელიც შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხზე არსებით გავლენას მოახდენს. თავის მხრივ, მოსამართლესაც გარკვეული დრო სჭირდება იმისათვის, რომ დაადგინოს სამართლებრივი პრობლემა და შეუსაბამოს მას ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მას გადაწყვეტილების, თუ განჩინების მისაღებად დასჭირდება. თუმცა, მეორეს მხრივ, ეს პროცედურა უკიდურესად, გაუგონრად ხანგრძლივი პერიოდით არ უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან სასამართლოს ინერტულობამ მოსარჩელისთვის შესაძლოა არაეფექტური, უსარგებლო, „დაუმსახურებელი“ შედეგი გამოიწვიოს.<sup>124</sup>

### **6.1. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის და 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობა სსსკ-ის 193-ე მუხლის მიზნებთან;**

სსსკ-ის 197<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის და ამავე კანონის 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ერთმანეთთან ურთიერთმიმართებისას, სწორედ აღნიშნული საკითხი დგას დღის წესრიგში. პირველი ამბობს, რომ „საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს“, მეორე კი მიუთითებს შემდეგს: „კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში“. 197<sup>1</sup> მუხლის შესაბამის ნაწილში საუბარია პირველ (სააპელაციო) ინსტანციაში განცხადების პირველად მიღების შესახებ, ხოლო 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უკვე გასაჩივრებული განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრებისას მისი განხილვის ვადებია ხაზგასმული.

შესამჩნევია, რომ სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების გამოყენების მიზანი „არსებული ვითარების ერთ ადგილზე გაყინვა“, მანამ, სანამ შემდგომი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. განსხვავებით, სსსკ-ის 193-ე მუხლისა, რომლის მიხედვითაც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განაცხადი ერთ დღეში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად განიხილება, აშშ-ს სამოქალაქო პროცესის ფედერალური კანონის 65-ე მუხლი აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვისას ზეპირის მოსმენის დანიშვნა სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს მიაკუთვნება.<sup>125</sup> ამ ლოგიკით, თუ სამართლებრივი საკითხის ინდივიდუალურობიდან და მომეტებული რისკიდან გამომდინარე, მისი ერთ დღეში მოპასუხისათვის შეუტყობინებლად განხილვა კანონით რელევანტურად მიჩნეულია, სასამართლოს მიერ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების დროს სააპელაციო სასამართლოსთვის საკითხის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად 2 თვის ვადის დაწესებით, შესაძლოა მოსარჩელის კონსტიტუციის 42-ე და ადამიანის

<sup>124</sup> *Yimer G. A.*, Standards for Provisional and Protective Measures in Civil Litigation, What Ethiopian Courts May Learn from US Courts, 24 AFR. J. INT'L & COMP, 2016, 330-331.

<sup>125</sup> *Baicker-McKee S., Janssen W.M., Corr J.B.*, A Student's Guide to the Federal Rules Of Civil Procedure, West Publishing Company, ST. Paul, Minn, 1997, 614.

უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში უხეში ჩარევა მოხდეს.

კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლო განხილვის გონივრულ ვადას უსვამს ხაზს. ამ დროის განმავლობაში, მოპასუხეს სსსკ-ის 197<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი შესაბამისად, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ ბარდება, ანუ მას უკვე აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ გააკეთა განაცხადი დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ და ვარაუდობს, რომ მოსარჩელე ზემოდგომ ინსტანციაში დიდი შანსით განჩინებას გაასაჩივრებს, მოპასუხემ კი ამ დიდი დროის განმავლობაში ქონება შესაძლოა გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს, ან სხვა ქმედებებით ისე შეცვალოს ნივთზე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, რომ შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩეს. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ აღნიშნული ჩანაწერი სასამართლოს საქმის განხილვის სისწრაფის და ეფექტურობის პრინციპს ეწინააღმდეგება და ზემოდგომ ინსტანციაშიც უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის განხილვა ერთი დღის ვადაში უნდა მოხდეს. განსაზღვრული, დამახასიათებელი, კანონით გაწერილი ვადის არსებობა კი კანონმდებლის მხრიდან მოსარჩელისთვის შეუსაბამო ზიანის თავიდან არიდების, ან მინიმალიზების მექანიზმია.<sup>126</sup>

## **6.2. მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უკიდურესი ვადის ცვლილების სამართლებრივი შედეგები სსსკ-ში ცვლილების შესვლის შემდგომ;**

საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსარჩელისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების სასამართლოსთვის არაუმეტეს 30 დღის ვადის დადგენით საპროცესო კანონმდებლობაში ნოვაცია შემოიტანა. ადრეული ჩანაწერი ამ დრომდე 7 დღემდე ზღუდავდა, რაც მოსარჩელეს ლავირების საშუალებას არ აძლევდა და შესაძლოა ითქვას, რომ მისი საპროცესო უფლებების მოქმედების არეალი არაპროპორციულად იზღუდებოდა.

„საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდეს და უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას წამოადგენდეს.“<sup>127</sup> ამასთან დაკავშირებით პარლამენტის პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ დადგენილი 7 დღიანი ვადა სამართლიანი მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტური განხორციელების საშუალება იყო, სასამართლო გადაწყვეტილება გონივრულ ვადებში უნდა მიღებულიყო და ამის შეუსრულებლობა სასამართლოსადმი ხალხის ნდობას

<sup>126</sup> *Yimer G. A., Standards for Provisional and Protective Measures in Civil Litigation, What Ethiopian Courts May Learn from US Courts, 24 AFR. J. INT'L & COMP, 2016, 331.*

<sup>127</sup> (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე წინააღმდეგ“, II-30), *გადაწყვეტილებიდან: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1-ლი დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/6/746.*

არაფრად აქცევდა, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლომ მკვეთრად ხაზი გაუსვა იმას, რომ მოპასუხის ინტერესები დაცულია, როდესაც კონკრეტული ვადის განსაზღვრით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებიდან მისთვის მომდინარე ზიანი დაზღვეულია, მაგრამ ამ გარემოებამ მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ამ საშუალების გამოყენებას, იმას, რომ მას საკუთარი უფლებების აღდგენა მომავალში გარანტირებული ჰქონდეს, ხელი არ უნდა შეუშალოს და უფლება მხოლოდ ფურცელზე დაწერილ, ფანტასტიკის სფეროს ობიექტად არ უნდა აქციოს. მოპასუხე მხარის მითითება, რომ მოსამართლემ მოსალოდნელი ზარალის ოდენობის განსაზღვრისას 7 დღიანი ვადის არსებობა უნდა ჩათვალოს საკმარისად და მოსარჩელეს თანხა იმ რაოდენობით უნდა დააკისროს, რა ოდენობის უზრუნველყოფასაც ის ამ დროში შეძლებს, საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაზე დამყარებული არგუმენტებით უგულბებელი და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მხარე შესაძლოა არ იყოს მოკლებული შესაძლებლობას სასამართლოს მითითება 7 დღის ვადაში, შეიძლება უფრო ადრეც შეასრულოს, სხვა კონკრეტული შემთხვევებიცაა გასათვალისწინებელი, როდესაც ეს ვადა ძალზედ მცირეა. საუბარია იმაზე, რომ იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი მართვის ორგანოების მიერ ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი შესაძლოა პროცედურულად ალტერნატიულად იქნეს მოწესრიგებული, რომლის სისრულეში მოყვანაც ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით დადგენილი დროსჭირდებოდეს. აქედან გამომდინარე, დასკვნა, რომ სადავო ნორმის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად 7 დღიანი ვადის დადგენა მხოლოდ შაბლონური ჩანაწერი და უფლების შაბლონური შევიწროვებაა, რომელიც პირის ინდივიდუალურ, კონკრეტულ ვითარებას უკუაგდებს, ნორმიდან მომდინარე „შემზღუდველი ეფექტის მინიმალიზებას“ ვერ ახდენს. შესაბამისად, მოსამართლისათვის საკითხის გადასაწყვეტად საკუთარი უფლების მოქმედების ფარგლებში ფართო დისკრეციის მინიჭება „უფლების უფრო ნაკლები ინტენსივობით“ შეზღუდვის მაგალითია, ვინაიდან მოსარჩელის ინტერესების უკეთესად დაცვის შესაძლებლობა იქმნება - მას განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გონივრული დრო აქვს.<sup>128</sup>

### **6.3. უზრუნველყოფის გარანტიის სასამართლო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები;**

სსსკ-ის 199-ე მუხლის მესამე ნაწილში, ერთის მხრივ, მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაზეა ხაზგასმად, თუმცა იგივე მუხლში აღნიშნულია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (არაუმეტეს 30 დღისა) გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას აუქმებს და სწორედ გაუქმების შესახებ გამოსული განჩინების

<sup>128</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1-ლი დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

გასაჩივრებაა შესაძლებელი 5 დღეში და არა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული მოსარჩელისთვის უარყოფითი განჩინების.

უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი არც ერთი პროცესუალური დანაწესი მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას არ ადგენს, რაც შესაძლოა მოსარჩელის საპროცესო უფლებათა არაპროპორციული შეზღუდვა იყოს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო ამ თემაზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრებასთან ასოცირებული თემების რეგულირებას არ ეხება. სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება მოსარჩელეს არც აღჭურავს და არც ზღუდავს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით. „სადავო ნორმა ასევე არ წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების ინსტიტუტის ან/და მისი გამოყენების უფლებამოსილების განმსაზღვრელ წესს.“<sup>129</sup>

ერთ-ერთ საქმეზე გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინებაში ჩამოყალიბებული მითითებები გზამკვლევად არ გამოიყენა, ამიტომ მთელი რიგი გარემოებები თავიდან გამოკვლევის საგანია. საკასაციო სასამართლო მოსარჩელის საჩივრის არგუმენტს ნაწილობრივ მიემხრო და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მკვეთრად არ არის დასაბუთებული ის ზიანი, რომელიც შესაძლოა განმცხადებლებს (მოპასუხეებს) მიადგეთ მათ კუთვნილებაში არსებულ უძრავ-მოდრავ ქონებაზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან განვითარებული მსჯელობა, რომ მოპასუხე შპს და მოპასუხე ფიზიკური პირები სამეწარმეო საქმიანობაში წარმატებულნი არიან, ის, რომ მათ თავიანთი ქონების სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით აქვთ შეზღუდული, საიდან გამომდინარეც, ისინი, როგორც ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებზე მყოფი მეწარმეები საქართველოში ზიანს განიცდიან, დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევა.<sup>130</sup>

როგორც ვხედავთ, საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ წარდგენილი განცხადების ხელახლა განხილვა დაევალა. შესაბამისად, კასატორის

<sup>129</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1-ლი დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 34-ე ველი.

<sup>130</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1041-2018.



პერსპექტივა რეალიზდა და მან საკუთარი საპროცესო უფლებები წარმატებით განახორციელა. ეს კი შესაბამისი რეგულაციის არსებობის ეფექტურად გამოყენების „დამსახურებაა“.

პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სასამართლომ მისთვის საზიანო განჩინებით სრულიად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კანონით მინიჭებული უფლება აქვს, გაასაჩივროს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ განჩინება და არის ის, რაც პირდაპირ კავშირშია მისთვის შესაძლო (სხვადასხვა შემთხვევაში) გამოუსწორებელი ზიანის მიყენებასთან. ამიტომ, ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა მოსარჩელეთა და მოპასუხეთა უფლებების თანაბრად განხორციელების ხელშეწყობის ვალდებულებიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოს იმ განმარტების პირობებში, როდესაც ის ამბობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა განსაკუთრებულ, სპეციალურ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.<sup>131</sup>

## VII. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა;

უზრუნველყოფის ერთი საგნის მეორით ჩანაცვლება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით დაზარალების პრევენციის კიდევ ერთი საპროცესო საშუალებაა. ზოგადად, დროებითი ღონისძიება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წონასწორობის შენარჩუნებას, პროცესის ხანგრძლივობით გამოწვეული მოსარჩელისთვის თვალშისაცემი რისკების შემცირება ემსახურება, თუმცა ამ ყველაფერმა მოპასუხეს იმაზე მეტი ტვირთი არ უნდა აკიდოს, რამდენიც საჭიროა.<sup>132</sup> როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით, აღნიშნული ნორმით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე დასაშვებია. ამის სამართლებრივი საფუძველი კი სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულფასოვანი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან და ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, კანონმდებელი არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობს იმას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით განპირობებული უარყოფითი რეზულტატი შესაძლოა საქმის მსვლელობის ნებისმიერ სტადიაზე გამოვლინდეს. კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს მოპასუხის არგუმენტირებულ შიშს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დასაშვებ უმართებულობაზე (როდესაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა) და მოპასუხის ინტერესების დასაცავად მრავალფეროვან სამართლებრივ საშუალებებს ადგენს, რომელთა შორისაა, უკვე ნახსენები მოსალოდნელი ზარალის

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-929-879-2015.

<sup>132</sup> *Méndez F. R.*, Provisional Remedies in Spanish Civil Procedure, <[http://www.rya.es/articulos/Provisional Remedies in Spanish Civil Procedure.pdf](http://www.rya.es/articulos/Provisional%20Remedies%20in%20Spanish%20Civil%20Procedure.pdf)>.

ანაზღაურების უზრუნველყოფა და ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.<sup>133</sup>

მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით აღნიშნული დანაწესის სწორად განმარტება და გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თანმხლები რისკისა და ტვირთის პროცესის ორივე მხარისთვის არსებობის პირობებში, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ დროს ორივე მხარის თანხმობა აუცილებელია და მხოლოდ ერთი მონაწილის პოზიცია საკმარისი არ აღმოჩნდება.<sup>134</sup> შესაბამისად, საინტერესოა, სად არის ზღვარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს შორის და რომლის რომელი ღონისძიებით შეცვლა შესაძლებელია, რა დროს და რა ფარგლებში.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობა იმ სიტუაციაში გამოიყენება, როდესაც მხარის მიერ სარწმუნოდ დასაბუთდება ის, რომ ეს შეცვლა არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის არ იქნება ზიანის მომტანი და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს შეექმნება რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი საფრთხე.<sup>135</sup> მხარის მოთხოვნაზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ, კონკრეტულად, უძრავ ნივთსა და ავტომანქანაზე ყადაღის გაუქმებასა და მის ნაცვლად გასხვისების აკრძალვის გამოყენებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ვითარებაში უზრუნველყოფის ღონისძიების ცვლილება ყოველთვის გაუმართლებელია, რადგან მოძრავ ქონებაზე - ავტომანქანაზე გასხვისების აკრძალვის დაწესება, ყადაღისგან განსხვავებით, მოძრავი ნივთის უფლებრივი დატვირთვისა და სხვა პირთათვის სარგებლობაში გადაცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც, გადაწყვეტილების აღსრულებას დიდწილად გაართულებს, ან შეუძლებელს გახდის.<sup>136</sup>

ერთ-ერთ საქმეზე, ა. ზ.-მ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა იმის თაობაზე, რომ მოძრავი ქონების დაყადაღების ალტერნატივა პირის თიბისი ბანკში არსებული საბანკო ანგარიშები ყოფილიყო. თავად მოცემულობა, რომ მას სადავოდ გამხდარი თანხები აღნიშნული ბანკის ანგარიშზე ერიცხებოდა, მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. ეს ფაქტი საჩივრის შემდგენელის მიერ არც საჩივრი წარდგენის ეტაპზე ყოფილა დადასტურებული. ამიტომ, საკასაციო პალატას ფაქტობრივ შესაძლებლობა არ აქვს საჩივარი საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების გზით

<sup>133</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/5087-14.

<sup>134</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/5087-14.

<sup>135</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1556-1476-2017.

<sup>136</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1556-1476-2017, იქვე ველი 40.

გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების ნაწილში საფუძვლიანად ჩათვალოს.<sup>137</sup>

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია 1961-ე მუხლი, რომელიც მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მიზნით სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შეთავაზების უფლებას ანიჭებს. ამ დროს, ე.წ. ღონისძიების „ჩანაცვლებასთან“ გვაქვს საქმე, რადგან იცვლება არა სარჩელი უზრუნველყოფის ტიპი, მაგ, განმცხადებლის მიერ ქონებაზე ყადაღის დადების ნაცვლად მისთვის რაიმე მოქმედების შესრულების აკრძალვა არ არის მოთხოვნილი, არამედ ქონებაზე ყადაღის დადების არეალში, ერთი უზრუნველყოფის საშუალება იცვლება მეორით.

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თავიდან მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მთლიან ქონებაზე იყო გამოყენებული, თუმცა, მოპასუხის საჩივარზე დაყრდნობით, აღნიშნული განჩინება გაუქმდა და სასამართლომ შეზღუდვა მხოლოდ ერთ უძრავ ქონებაზე განახორციელა, რითაც მოსარჩელის ინტერესი მართლზომიერად რეალიზდა, იმით, რომ შეთავაზებული ქონების ღირებულება მოთხოვნის თანაზომიერი გამოდგა. ამის საფუძვლი კი სსსკ-ის 1961-ე მუხლის პირველი ნაწილი იყო, რომლის თანახმადაც, „ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა.“ ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მიზნით, სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს. პალატამ აღნიშნა, რომ რომ განსახილველ საქმეში დავის საგანი ზიანის ანაზღაურება იყო და არა საწარმოს (ჰიდროელექტროსადგური) ქონება.<sup>138</sup>

როგორც ავღნიშნეთ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის, ან ჩანაცვლების მოთხოვნა პროცესის ორივე მონაწილეს აქვს. შესაბამისად, მოპასუხეც არ არის შესაძლებლობას მოკლებული საკუთარი ინტერესის შესაბამისად განახორციელოს თავისი საპროცესო უფლებები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოპასუხეს მოსარჩელის იდენტური უზრუნველყოფის ღონისძიებების სასამართლოსთვის შეთავაზების დროს ნორმის მხოლოდ ფორმალური განმარტებით იხელმძღვანელოს და მისი გამოყენების შესაძლებლობა საკუთარ, ინდივიდუალურ შემთხვევას არ მიუსადაგოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როგორც ცალკე აღებული უზრუნველყოფის სახით, ასევე - ოპონენტისთვის შერჩეული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) შეცვლის მიზნით დაუშვებელია, რადგან ის სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“

<sup>137</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1249-2018.

<sup>138</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1512-2018.

ექვეპუნქტით გათვალისწინებულ ჩანაწერს ეწინააღმდეგება, რომლის სასამართლოს მიერ დაწესების შემთხვევაშიც, მოპასუხე ვალდებულია მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის სახით გადასცეს. ამ კონკრეტული შემთხვევის განმარტებისთვის, უნდა ითქვას, რომ ნორმის მიხედვით, მოპასუხეს მის მფლობელობის არეალში მოქცეული ნივთის აღმასრულებლისათვის გადაცემა ამ ქონების იძულებითი მართვის სახით შეიძლება დაევალოს. მოცემულ შემთხვევაში კი, ზემოხსენებული ნორმის დანაწესის გასაბათილებლად, საჩივრის ავტორი აპელირებს მოსარჩელის დავალდებულებაზე, რათა გადასცეს მის მფლობელობაში არსებული სადავო უძრავი ქონება აღმასრულებელს იძულებითი მართვის სახით, რაც სასამართლოს აზრით, დაუშვებელია.<sup>139</sup>

ერთ-ერთი საქმეზე სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ „რეალური ან მოსალოდნელი ზიანის არსებობის პირობებში, მოპასუხე შეზღუდული არ არის კვლავ მომართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების მოთხოვნით და ნაცვლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებისა, მოსარჩელეს ისეთი ღონისძიება შესთავაზოს, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ხოლო მოსარჩელეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ ბერკეტებს შეუქმნის, მაგალითისათვის, უფლებრივად დაუტვირთავი ქონების შეთავაზება, თანხის დეპოზიტზე განთავსება და ა. შ.“<sup>140</sup>

როგორც ვხედავთ, ეს საკითხიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხარეები უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, ან შეცვლაზე აპელირებისას, ან სხვა საპროცესო ნაბიჯის გადადგმისას, თავიანთი სარჩელის, თუ განცხადების მომავალ პესპექტიულობაში დარწმუნებულნი ვერ იქნებიან, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სტადიაზე მხოლოდ მოთხოვნის იურიდიული გამართულობა ექცევა შემოწმების ქვეშ, მოთხოვნის დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის საკუთხი კი სარჩელზე არსებითად მსჯელობის დროს განიხილება.<sup>141</sup>

## VIII. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება;

სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების რამდენიმე წინაპირობას აწესებს: სარჩელის მიღებაზე, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სარჩელის განუხილველად დატოვება, საქმის წარმოების შეწყვეტა, მხარეთა მორიგება, თუ ისინი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. სარჩელის უზრუნველყოფის

<sup>139</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1136-1092-2016.

<sup>140</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება საქმეზე №28/4752-15.

<sup>141</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება საქმეზე №28/4752-15.

ღონისძიება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად გამოიყენება, კონკრეტულ სარჩელზე და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილება პერსპექტიულია.<sup>142</sup> შესაბამისად, თუ ის დავის საგანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულ იქნა რომელიმე კონკრეტული ღონისძიება, აღარ არსებობს, გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ უკვე მიღებულია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა აზრს კარგავს. მოთხოვნის საფუძველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განმაპირობებელი ფაქტია. სწორედ ამ საფუძვლის ძიებისას, სასამართლოსათვის კონკრეტული ფაქტები და გარემოებებია გადამწყვეტი, რომლებზედაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას წამოაყენებს. აპლიკანტის მოთხოვნის შინაარსის სათავე მის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებებია. სასამართლომ, ყოველი ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე უნდა გაარკვიოს, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი: სახელმძღვანელო თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან მომდინარეობს.<sup>143</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სასარჩელო მოთხოვნათა შინაარსში ინდივიდუალურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სარჩელის და უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნების თანხვედრა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ეს ფაქტი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მათ იდენტურობასთან „ერთიდაიგივეობასთან“ გვაქვს საქმე, რაც თავის მხრივ, უმეტესად განპირობებულია იმით, რომ მათ განსხვავებული იურიდიული წინაპირობები გააჩნიათ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას აღსრულებას, მის განხორციელებას უწყობს ხელს. ამასთან, ისიც უნდა იქნეს გააზრებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება ყოველთვის დროებითი ხასიათით გამოირჩევა და ის სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად.<sup>144</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ინიციატორი სასამართლოცაა. სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლი მას საჭიროების შემთხვევაში ამის გაკეთებას ავალდებულებს და თუ რაიმეს „წყალობით მას უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხი მხედველობიდან ამოუვარდა, ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილისა და 261-ე მუხლის შესაბამისად, კანონის ანალოგია ის საშუალებაა, რომელიც აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროს შესაბამისი განჩინების გამოტანის დროში ვადით არ იქნება შეზღუდული, განჩინების გასაჩივრება კი სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით იქნება შესაძლებელი.<sup>145</sup>

<sup>142</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე N38/83-16.

<sup>143</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-533-509-2016.

<sup>144</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-471-439-2017.

<sup>145</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-871-2018.

როგორც უკვე აღინიშნა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, თავად უზრუნველყოფის ღონისძიებაც უქმდება. ასეთ სიტუაციაში კი, მოპასუხეს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, უსაფუძვლო, დაუკმაყოფილებელი სარჩელისთვის გამოყენებული ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.<sup>146</sup>

თუმცა, შესანიშნავია ის ფაქტი, რომ განსხვავებით დანარჩენი სამი შემთხვევისა, რომელთა დადგენის დროსაც მიიღება განჩინება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, მიიღება გადაწყვეტილება. როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მასთან ერთად, დაუყოვნებლივ არ უქმდება. (მაგ, ქონებაზე ყადაღის მოხსნა). ღონისძიება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ნარჩუნდება. აღნიშნული სხვაობა სიტუაციის ინდივიდუალურობიდან გამომდინარეობს. ვინაიდან განჩინება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღების ისეთი ფორმაა, როდესაც საკითხი არსებითად არ წყდება<sup>147</sup>, გადაწყვეტილება კი პირიქით, არსებითი განხილვის შედეგია, მათი გასაჩივრების ვადებიც განსხვავებულია. ზემოთ აღნიშნული სამი შემთხვევისთვის კანონით კერძო საჩივრის შეტანაა დაშვებული, რომლისთვისაც ვადად 12 დღეა მიჩნეული და ის მხოლოდ ერთ ინსტანციაში საჩივრდება. ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი (და მასთან ერთად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც) ინსტანციების მიხედვით, შესაძლოა, 14 დღეში, ან ერთ თვეში გასაჩივრდეს. სხვაობა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარსა და დანარჩენ სამ ვარიანტს შორის, აქაც იკვეთება.<sup>148</sup>

კანონის მიერ მხარისთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება შემთხვევითი მოვლენა ნამდვილად არ არის, რადგან, თითოეული მხარეთა რეალურ, არსებით მატერიალურ ინტერესებთანაა დაკავშირებული და დროის დაყოვნებამ, ან სასამართლოს არაპროპორციულმა, ან გაუმართლებელმა მოქმედებამ პირს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს<sup>149</sup> და შემდგომი მოქმედებებით ვერ კომპენსირდეს. ზიანი კი ინდივიდუალური განსჯის საგანია და ის არ შეიძლება განსაკუთრებულად კონკრეტული ჩარჩოებით შემოსაზღვროს, ვინაიდან ის სწორედ ქმედებასა და შედეგს შორის შექმნილი მიზეზობრივი კავშირის შედეგია და მსგავსი ვითარებები ხშირ შემთხვევაში უკიდურესი სირთულით ხასიათდება.

<sup>146</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/4023-13.

<sup>147</sup> სარჩელის მიღებაზე უარის თქმა, სარჩელის განუხილვლად დატოვება, საქმის წარმოების შეწყვეტა იმ ობიექტური გარემოებების არსებობის დადასტურების შედეგია, რომლებიც კანონმდებლობა აერთიანებს. საქმის წარმოების შეჩერების დროს კი, საკითხი სპეციალური, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე განხილვის საგანია.

<sup>148</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 339.

<sup>149</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 339-340.

ერთ-ერთი საქმეში, სასამართლომ კასატორის ის მტკიცება ვერ მიიღო მხედველობაში, რომ 2016 წლის 29 ივლისს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებით, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი სახეზეა. ასევე აღნიშნა, რომ მხარეები მორიგების დროს სხვა პირობებზე შეიძლება შეთანხმებულიყვნენ და შესაძლოა ეს პირობები მანამდე არსებული შეთანხმების იდენტური არ ყოფილიყო.<sup>150</sup>

სააპელაციო სასამართლოს პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ღონისძიების, კერძოდ, მისთვის კონკრეტულად განსაზღვრული პერიოდის, 6 თვის განმავლობაში ბანკში დასაქმების აკრძალვისა და კონკრეტულ ბანკთან რაიმე სახის პირდაპირი, თუ სხვა რაიმე ფორმით არაპირდაპირი თანამშრომლობის შესახებ არაპროპორციულობასთან დაკავშირებით. აგრეთვე, სარწმუნოდ არ მიიჩნია მოპასუხის ის აზრი, რომ მხარისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დავალება, სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც ინსტიტუტის, შინაარსობრივ განმარტებას და მოქმედების ფარგლებს სცდებოდა, იმ სიტუაციაში, როდესაც მისი გამოყენების უკიდურესი აუცილებლობა არ იკვეთებოდა. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის, რომ მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმება კონკურენციის არგაწევის შესახებ იმაშიც იქნებოდა გამოხატული, რომ მოპასუხე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, 6 თვის განმავლობაში ამ დათქმას დაიცავდა. მიუხედავად მოპასუხე მხარის აპელირებისა, რომ ის აქამდე თითქმის 3 თვის ვადით უკვე ასრულებდა ახალ ბანკში ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობას და ჯერ ყოფილ ბანკს მატერიალური და რეპუტაციული ზიანი არ მისდგომია, სასამართლომ ეს პოზიცია მშრალად და დაუსაბუთებლად მიიჩნია. ის დაეთანხმა აპლენატი მხარის პოზიციას, რომ აკადემიურ ლიტერატურაში ძალიან სარწმუნო განსაზღვრებააა მიჩნეული ე.წ. „გარდაუვალი გამჟღავნების დოქტრინა“, ვინაიდან ის ამბობდა, რომ იმ ფაქტის უზრუნველყოფა, რომ სამსახურის შეცვლისას პირი წინა დამსაქმებლისგან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ახალი დამსაქმებლის საქმეების უკეთ წარმართვისთვის არ გამოიყენებს ისე, რომ მის მიერ დაგროვებული ეს ცოდნა სასარგებლო იქნება ახალი დამსაქმებლისთვის, არ არის მართებული, მაგრამ აზრი, რომ ეს ფაქტი წინა დამსაქმებლის დაზარალების საფრთხეს ქმნის, კონკრეტულ შემთხვევაში უსაფუძვლოა.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერებაზე უკვე ნამსჯელი იყო, ხოლო კანონმდებლობა ამ განჩინებას ერთჯერადად გასაჩივრებას ითვალისწინებდა. შეუძლებელი იყო, რომ საკასაციო ინსტანციას, სსსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, განჩინების კანონიერების საკითხი კიდევ ერთხელ განეხილა. უზენაესმა სასამართლომ ერთგვაროვანი პრაქტიკა მოიშველია და

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-581-581-2018.

აღნიშნა, რომ მიუხედავად სამართლებრივი შედეგისა, კანონმდებლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას ორ ინსტანციაში არ ითვალისწინებს.<sup>151</sup>

პროცესუალური თვალსაზრისით, კანონმდებლის ნაბიჯი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი მხოლოდ ერთ, ზემდგომ ინსტანციაში უნდა გადაწყდეს და ამ ინსტანციის გადაწყვეტილება საბოლოოა, პროცესის ეკონომიურობას და საქმეთა უაზროდ გაჭიანურების პრევენციას ემსახურება, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დროებითი საშუალებაა და ის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი მხარის საბოლოო გადაწყვეტაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. მხარის ჩივილს, რომ ამ შეზღუდვით, მისი ინტერესები ილახება, მაღალი საჯარო ინტერესი უპირისპირდება. განჩინების უსასრულო გასაჩივრებით, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, სხვა პირთა საქმეების სწრაფი და ეფექტური სასამართლო განხილვის უფლება ილახება, იმ პირობებში, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას/გადაწყვეტილებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირებით არსებითად მსჯელობს. სწორედ, ეს გარემოებებია მსგავსი ლეგიტიმური შეზღუდვის განმაპირობებელი.

აქვე უნდა შევამჩნიოთ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივი შედეგი იმდენად მაღალი პროცესუალურ-სამართლებრივ რისკებით ხასიათდება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გაუქმების წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ეს განჩინება გასაუქმებელია და მეორე მხარეს მისი ხელახლა გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. პალატა განმარტავს, რომ სწორედ ამ „სამართლებრივი მოტივაციით“ სააპელაციო სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებას თავად არ იღებს და ქვედა ინსტანციის სასამართლოს უბრუნებს.<sup>152</sup>

---

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-471-439-2017.

<sup>152</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/4610-14.



## IX. აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა

აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფას სსსკ პირადაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა რადგან ასეა, ივარაუდება, რომ მის, როგორც სარჩელთა სხვა სახეების, უზრუნველსაყოფადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დროებითი ღონისძიებები.

უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები.<sup>153</sup> პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია.<sup>154</sup>

სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შესაძლოა აღიძრას: „ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.“

ამ მუხლის განმარტებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო აღიარებით სარჩელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს წარმოებაში, თუ აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიკუთვნებითი მოთხოვნის არარსებობა და მხოლოდ აღიარებითი მოთხოვნის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობა.<sup>155</sup>

ძალიან საინტერესოა აღიარებითი სარჩელის აღძვრის დროს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, რომელიც შესაძლოა აუცილებელი, მაგ, ავტორობის უფლების შესახებ სარჩელის აღძვრის დროს გახდეს. მოპასუხეს შესაძლებელია ლიტერატურული ნამუშევრის გამოქვეყნება აკრძალოს მანამ, სანამ ნაწარმოების საავტორო უფლებები არ გაირკვევა.<sup>156</sup> ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიშველიოთ წამყვანი ევროპული სამართლის ქვეყანა შვედეთი, სადაც მალმოს რაიონულმა სასამართლომ ჟაკ პროვეტის მემკვიდრეთა განცხადების საფუძველზე

<sup>153</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1405-1325-2017.

<sup>154</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-523-489-2017.

<sup>155</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე №28/362-16.

<sup>156</sup> *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 332.

უზრუნველყოფის ღონისძიებად ჟაკ პროექტის პიესის „Les Enfants de Paradis“-ის მსოფლიო პრემიერის აკრძალვა გამოიყენა, ვინაიდან პიესის პრემიერას საავტორო უფლებათა ისეთი დარღვევა შესაძლოა მოჰყოლოდა, რომ საქმის შემდგომი განხილვის რეზულტატად სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება ვერ აღმოფხვრიდა იმ გამოუსწორებელ ზიანს, რომელიც შესაძლოა განმცხადებელს განეცადა. სასამართლომ მოპასუხე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების შეუსრულებლობისთვის, თითოეულ შემდგომ დარღვევაზე 100 000 შვედური კრონი განუსაზღვრა.<sup>157</sup>

შესაბამისად, ვთვლი, რომ აღიარებითი სარჩელების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი მიზნებისთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ცალკე გათვალისწინება უპრიანი იქნება.

## **X. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები;**

### **10.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ადგილი საერთაშორისო არბიტრაჟში;**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება გადაწყვეტილების უეჭველად აღსრულებისათვის შესაძლო ბარიერის პრევენციისთვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, რაც მას ნებისმიერი ბიზნესისათვის მომგებიანს და მიმზიდველს ხდის. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება კომერციული დავების მოგვარების შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიებათა საჭიროებას მკაფიოდ უსვამს ხაზს და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მინიჭების ეტაპობრივად განვითარებად მოთხოვნილებას გამოკვეთს.<sup>158</sup> აქვე უნდა შეინიშნოს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებას საერთაშორისო არბიტრაჟში დიდი ისტორია ნამდვილად არ აქვს.<sup>159</sup> საარბიტრაჟო სასამართლოში უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მნიშვნელობა 2006 წელს მოდელურ კანონში შესული ცვლილების შედეგად მოხდა.<sup>160</sup> და ამით საარბიტრაჟო სასამართლო, აქ მოთხოვნილი დროებითი

<sup>157</sup> Westberg P., Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies In Law © 1999-2012, 534.

<sup>158</sup> Settlement of Commercial Disputes – Possible uniform rules on certain issues concerning settlement of commercial disputes: conciliation, interim measures of protection, written form for arbitration agreement, Report of the Secretary General, United Nations Commission on International Trade Law Working Group on Arbitration, 32nd Sess., Para. 104, January 2000. “Reports from Practitioners and arbitral institutions indicate that parties are seeking interim measures in an increasing number of cases. This trend and the lack of clear guidance to arbitral tribunals as to the scope of interim measures that may be issued and the conditions for their issuance may hinder”; სტატიიდან: *კატეგორია. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 29.

<sup>159</sup> Born G.B., International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 1949-1951, ნაშრომიდან: *მაჩაიძე. ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 91.

<sup>160</sup> Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, Section 4 (b).

ლონისძიებების შესძლებლობით საერთო სასამართლოებს მნიშვნელოვნად დაუკავშირდა. 2015 წელს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში კვლავ შესულმა ცვლილებებმა კი, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიებებსაც უკავშირდებოდა, ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას არბიტრაჟისთვის კიდევ უფრო გაუსვა ხაზი.<sup>161</sup>

საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის დროებითი ღონისძიების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენების უფლებამოსილების განმტკიცების მიზნით UNCITRAL-ის სამოდელო კანონის მიღება, ამ კუთხით საკვანძო, გარდამტეხი მოვლენა აღმოჩნდა, თუმცა, მას მერე, ამ წესების მიმდევარი ქვეყანათა მცირე ნაწილია.<sup>162</sup> განსხვავებით, მაგალითად, იტალიის კანონმდებლობისგან, სადაც საარბიტრაჟო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების დამტკიცების იურისდიქცია არ გააჩნია, შვეიცარიამ ეს საკითხი 1989 წელს შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის (აქტის) ძალაში შესვლით გადაჭრა.<sup>163</sup> სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო წესებიც, და ზოგადად, არბიტრაჟი, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კუთხითაც სასამართლო დავის დროს მისი გამოყენების შესაძლებლობასთან ერთად მნიშვნელოვან კონკურენტულუნარიან გარემოს ქმნის.<sup>164</sup>

აღსანიშნავია მსოფლიოს წამყვანი სამართლებრივ სისტემების მიდგომა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით: მაგ, შვედეთის კანონმდებლობით, მიუხედავად განხილვის ადგილისა, მხარეს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების არბიტრაჟის მიერ მიღება. გერმანიაც სპეციალურ მიდგომას უჭერს მხარს და კანონმდებლობით მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ან სპეციალურ ფორმაში ამ შეთანხმების შემდგომ ჩაწერონ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება მხოლოდ არბიტრაჟს, ან მხოლოდ სასამართლოს, ან ორივეს შეუძლია. შვეიცარიულ იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილება არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა რიგს განეკუთვნება და არც საქმეს წყვეტს არსებითად და

<sup>161</sup> *მაჩიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 91.

<sup>162</sup> *Savola M.*, Interim Measures and Emergency Arbitrator Proceedings, Presentation at the 23rd Croatian Arbitration Days: Access to Arbitral Justice Part IV: Time Aspects of Access to Arbitral Justice Zagreb, 3 – December 4, 2015, 2.

<sup>163</sup> *Alibekova A., Carrow R.*, International Arbitration And Mediation – From The Professional Perspective, Concurrent Jurisdiction of Arbitral Tribunals and Courts, Yorkhill Law Publishing, 2007, 158.

<sup>164</sup> მაგ, ICC-ის 1998 წლის საარბიტრაჟო წესების 23-ე მუხლი საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა, განცხადება, როგორც კი გადაეცემა ტრიბუნალს, მას, მხარის მოთხოვნით, იმ ღონისძიების გამოყენება ძალუძს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. ასევე ამბობს, რომ მხარის განაცხადით საარბიტრაჟო სასამართლოსათვის უზრუნველყოფის ღონისძიების საშუალებაზე მიმართვა საარბიტრაჟო შეთანხმების გვერდის ავლად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

თავისი შედეგებით, (მაგ, აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხებით), საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად არ მიიჩნევა.<sup>165</sup>

არბიტრაჟი დავების კერძო ფორმით, არაფორმალურ გარემოში, არასასამართლო წესით გადაწყვეტის პროცედურაა.<sup>166</sup> არბიტრაჟი არის საშუალება, სადაც მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, რომ მათ შორის წამოჭრილი დავის პროცედურა მაქსიმალურად შეუთავსონ თავიანთ მოთხოვნებს და ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი, დღესდღეობით, საერთაშორისო ურთიერთობების სიმრავლის, ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლებრივი კულტურის კიდევ უფრო განვითარების გამო დავის გადაწყვეტის იაფ მექანიზმად ვეღარ რჩება და დროის სიმცირე, რომლითაც არბიტრაჟი „იკვებინდა“, ვიდრე ეს სასამართლო განხილვის დროს იყო, ვეღარ არის დავის სასამართლო განხილვასთან შედარებით მისთვის პრიორიტეტის მინიჭების მთავარი იარაღი, ის მაინც უფრო პრაქტიკული და მომგებიანია. საარბიტრაჟო დავის განხილვის მხარეები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ პროცესუალურ-სამართლებრივ საკითხზე შეთანხმდნენ, სასამართლოში კი მგავსი თემები კანონით მკაცრადაა გაწერილი და შესაბამისად, ჩვეულებრივ, მხარეები არ არიან უფლებამოსილნი თავიანთი ქმედებებით გააჭინურონ სასამართლო განხილვის დრო. რაც შეეხება საარბიტრაჟო განხილვის დროს კი, არბიტრმა მხარეთა მიერ გამოხატული ნება მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს, თუმცა პროცესის გაწველვა არბიტრის ინტერესებშიც თავისთავად არ შედის. განსხვავებით მოსამართლისგან, რომელიც განსაზღვრული ვადით, ან უვადოდ არის დანიშნული, არბიტრის სტატუსი კონკრეტულ საქმეში საარბიტრაჟო სასამართლოში დავის გადაწყვეტასთან ერთად წყდება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო დავის დასრულებასთან ერთად, მუდმივად არსებობს იმის ალბათობა, რისკი, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ გაუქმდეს, ან მის ცნობა-აღსრულებას უარი ეთქვას,<sup>167</sup> ვინაიდან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადაუხედავი, ან გასაჩივრებას დაუქვემდებარებელი.

საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებს უზრუნველყოფის ღონისძიების სწრაფად და ეფექტურად გამოყენების განსაკუთრებული ინტერესი აქვთ. ამიტომ, მყარი სამართლებრივი გარემოს შექმნა აუცილებელია იმისთვის, რომ მხარეს მოპასუხის ქმედებათა გამო ისეთი გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლოში დავის სწრაფი განხილვით ვერ კომპენსირდება.<sup>168</sup>

<sup>165</sup> იხ. *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 366-375.

<sup>166</sup> *Carbonneau E.*, *Thomas Cases and Materials on the Law and Practice of Arbitration*, Revised Third Edition Juris Publishing Inc., 2003, p. 1, წიგნიდან: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 7.

<sup>167</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 12.

<sup>168</sup> *Ehle B. D.*, *Concurrent Jurisdiction: Arbitral Tribunals and Courts Granting Interim Relief*, Introduction, Geneva, Switzerland, *Segesser. K.*, *Interim Measures in Kaufmann-Kohler, Stucki (eds), International Arbitration in Switzerland A Handbook For Practitioners (2005)*, ch 5, at p 69. ნაშრომიდან: *Alibekova. A.*, *Carrow R.*, *International Arbitration And Mediation - From the Professionals Perspective*, Yorkhill Law Publishing, 2007.

შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაცვას საჭიროებენ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის თავისუფალნი არიან არჩევანში: მიმართონ არბიტრაჟს, ან სასამართლოს. თუმცა, მხარეთა მიერ საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც კონფიდენციალური დაწესებულების, დავის გადაწყვეტის საშუალებად შერჩევა სასამართლოთა მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარისადმი შესაძლო მიუმხრობლობის, ან სპეციალური ცოდნის ნაკლებობის, პროცესის გაჭიანურების პრევენციას ემსახურება.<sup>169</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ განამტკიცებს საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს. ამით, ის იმ ქვეყანათა რიცხვს უერთდება, რომლებმაც ამ კუთხით სასამართლოსა და არბიტრაჟს შორის მსგავსი კონკურენციის წარმოშობას კანონმდებლობით შეუწყო ხელი. თუმცა, საარბიტრაჟო პროცედურები და უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაძლოა ერთმანეთთან კონფლიქტში აღმოჩნდნენ. ერთის მხრივ, საარბიტრაჟო სასამართლოს მიზანი სასამართლოსთვის დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების წართმევა და მისი არბიტრისთვის გადაცემა, თუმცა მეორეს მხრივ არბიტრის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს. ეს კი არბიტრაჟისთვის, რომელიც მხარეთა კერძო შეთანხმების საგანია, ერთი შეხედვით, პრობლემატური უნდა იყოს.<sup>170</sup>

## **10.2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული პრობლემატური ცალკეული საკითხების მიმოხილვა;**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებს ჩამოთვლის, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია არბიტრის მიერ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უზრუნველყოფის სახეებს უფრო ფართოდ აღწერს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც. ერთის მხრივ, არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით სარჩელის უზრუნველყოფის სახეების შერჩევისას ბევრად უფრო ვიწრო უფლებამოსილება აქვს, თუმცა, თავისი ხასიათით და ბუნებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ხაზგასმულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს წააგავს. თუნდაც, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>169</sup> Savola M., Interim Measures and Emergency Arbitrator Proceedings, Presentation at the 23rd Croatian Arbitration Days: Access to Arbitral Justice Part IV: Time Aspects of Access to Arbitral Justice Zagreb, 3 – December 4, 2015, 2.

<sup>170</sup> Semple W. G., The UNCINTRAL Model Law and Provisional Measures in International Commercial Arbitration, 1993, 765.

გამოტანამდე, პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების მოთხოვნა, შედეგიდან გამომდინარე, ყადაღის დადებას ემსგავსება.<sup>171</sup> თუ ყადაღის დროს, მოსარჩელის ინტერესების დასაცავად და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, აქტიური მოქმედებით მოპასუხის საკუთრება ყადაღდება, საარბიტრაჟო საამართლოში მოპასუხე მხარეს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება, ან აღდგენა შესაძლოა დაეწესოს. ყადაღის დადება იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს არ შეძლოს ქონების გასხვისება, საკუთარი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა, ან სხვა რაიმე მოქმედების შესრულება, რომელიც შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ან შენარჩუნებაც იმ სტატუს-კვოს შენარჩუნებას გულისხმობს, რომელიც სარჩელის აღძვრამდე არსებობდა.

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მხარეებს უფლებას რთავს მიმართონ სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით, რითაც ამ საშუალებით სარგებლობა უფრო მოქნილი ხდება.<sup>172</sup> UNCITRAL 1976 რეგლამენტის 26-ე მუხლის თანახმად კი, უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნა სასამართლო წესით განსხვავებულად, არ შეიძლება განიმარტოს, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების გვერდის ავლა და დარღვევა.<sup>173</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ მხარისათვის მომგებიანი საარბიტრაჟო სასარჩელო უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა არბიტრაჟში არ არის, რადგან დღევანდელი კანონმდებლობით ყველა შემთხვევაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ამ ღონისძიებების დანიშვნის შესახებ საქართველოს სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით უნდა დაამოწმოს, რაც კუმულაციურად დიდ დროსთან და ფულად დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან ამ დროს მხარეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის „ა<sup>3</sup>)“ ქვეპუნქტის მიხედვით დადგენილი ბაჟის გადახდა ევალება. ამიტომ, მხარისათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვა უფრო ხელსაყრელია, რის საშუალებასაც მას „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი აძლევს.<sup>174</sup>

ამ დროს მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც. ცნობა-აღსრულებას დაქვემდებარებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლოს მიერ გარკვეული ვადა შეიძლება დასჭირდეს, რაც მოპასუხეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, იმ ფულადი აქტივების გამოყენების, ან/და ქონების გასხვისების

<sup>171</sup> *ცატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012.

<sup>172</sup> *იქვე*, 33.

<sup>173</sup> *Sanders. P.*, The work of UNCITRAL on arbitration and conciliation second and expanded edition Kluwer Law International 2004 p 29, ნაშრომიდან: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 366.

<sup>174</sup> *ცატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 33-34.

საშუალებას აძლევს, რომლიდანაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება. ამის შემდგომ კი, მოსარჩელის უფლების აღიარებას აზრი ეკარგება.<sup>175</sup>

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მე-17 მუხლში არ აკონკრეტებს, რომ მხოლოდ მოსარჩელე მხარეს აქვს არბიტრაჟისთვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თხოვნით მიმართვის უფლება, განსხვავებით სსსკ-ის 191-ე მუხლისა, თუმცა პრაქტიკის მიხედვით, 191-ე მუხლი უფრო ფართო გაგებით უნდა განიმარტოს და მოპასუხე მხარესაც შეეხოს. საერთაშორისო წყაროებიც უზრუნველყოფის ღონისძიებები „მხარეთა“ დაცვის ეფექტურ საშუალებად განიმარტება.<sup>176</sup> ასეთი განსხვავებული მიდგომა კი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა უფრო ზოგადი და რომელიმე მხარისთვის მიუკუთვნებელი ხასიათიდან გამომდინარეობს.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის – მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესამე პირის მოძრავი ქონებით ჩანაცვლების თაობაზე პირის მიერ მოთხოვნის დროს აპლიკანტმა სასამართლო გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივ გარდაუვალობაში ვერ დაარწმუნა და კონკრეტულად ვერ დაასახელა ის, უძრავ ქონებაზე სადავო აკრძალვით, რა ტიპის ზიანი შესაძლოა მიდგომოდა მას. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება და მესამე პირის საკუთრებაში არსებულ ნივთებზე (დანადგარებზე) გარკვეული სახის აკრძალვის მინიჭება, არ უნდა შეფასდეს, როგორც საარბიტრაჟო სარჩელზე მომავალში გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების ხელშემწყობი გარემოება.<sup>177</sup>

### **10.3. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფათა კონკრეტული ღონისძიებების გამოყენება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად;**

არსებობს მოსაზრება, რომ მხარეები თავად არიან უფლებამოსილნი განსაზღვრონ უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეები, არბიტრაჟს კი შეუძლია გამოიყენოს ღონისძიებანი, რომელსაც იმ ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს, სადაც დავა მიმდინარეობს, ეს კი შემდგომი ცნობა-აღსრულების საკითხს პრობლემას უქმნის.<sup>178</sup>

<sup>175</sup> *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 93.

<sup>176</sup> *Wang W.*, International Arbitration: The Need for Uniform Interim Measures of Relief, International Dispute Resolution Case and Materials, Carolina Academic Press, 2nd ed., 2012, 140; *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 1943. სტატიიდან: *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 93.

<sup>177</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1586-2018.

<sup>178</sup> *Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M.*, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 595.

თუმცა, ამ შემთხვევაში ქართულ კანონმდებლობაში არსებულ საარბიტრაჟო სარჩელი უზრუნველყოფაზე უნდა ვისაუბროთ.

**ა) პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა;**

კანონის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილში კონკრეტული ღონისძიებებია ჩამოთვლილი, რომელთაგან ერთი-ერთი მხარის მიერ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა. ის, შესაძლოა ყადაღის ფუნქციას ასრულებდეს, ვინაიდან მხარეს მის აქტივში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების პირვანდელ მდგომარეობაში, „გაყინულ ვითარებაში“ შენარჩუნებას ავალდებულებს. თუმცა გასაკვირია, სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ ღონისძიებას ყადაღის ფორმით იყენებს, რატომ აკეთებს ამას, როდესაც მე-17 მუხლის მე-2 ნაწილში არის გ) ქვეპუნქტი, რომლითაც ხდება „ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“.<sup>179</sup> თუმცა, საერთაშორისო არბიტრაჟში მსგავსი პრობლემა არ დგას, რადგან ის თავად დავაში მონაწილე მხარეებს შორის მანამდე არსებული ვითარების შენარჩუნებას ემსახურება. მაგ, საარბიტრაჟო სასამართლომ, მხარეს შესაძლოა მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის იგივე ფორმაში შენარჩუნება დაავალოს, რომ მან მოსარჩელის მიმართ ვალდებულება დავის დასრულებამდე შეასრულოს, არ გათქვას კომერციული საიდუმლო, და ა.შ.<sup>180</sup> შესაბამისად, ქართულ კანონმდებლობაში, კანონის მე-17 მუხლში ა) და გ) პუნქტებს შორის არსებითი განსხვავებები მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს.

**ბ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;**

ამ ჩანაწერის მიზნიდან გამომდინარე, განხილვის საგანია, აღნიშნული ღონისძიების საკუთარი ინიციატივით გამოყენების შესაძლებლობა აქვს, თუ არა არბიტრაჟს. თუმცა, პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მისი გამოყენება მხოლოდ მხარის განაცხადის შედეგია. მისი განმარტების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროს, მხარეს შესაძლოა დაევალოს, რომ მოზომოს საჯარო განცხადებები, რომელიც ზიანის მიაყენებს მეორე მხარეს და თავად, საარბიტრაჟო პროცესს.<sup>181</sup>

**გ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;**

<sup>179</sup> *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 95.

<sup>180</sup> *ჩომახიძე ნ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 82.

<sup>181</sup> *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 97-99.



ამ პუნქტის მიზანი და მოწესრიგების ობიექტი იმ აქტივები განიავების პრვენციაა, რომლითაც საბოლოოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. აღნიშნული კი, ძირითადად, ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული დავების დროს გამოიყენება. თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, ამ მუხლის ა) და გ) ქვეპუნქტებს ერთმანეთის მკვეთი მიზნები ამოძრავებთ, რაც ვთვლი, რომ მიზანშეუწონელია. ფაქტია, რომ ორივე ღონისძიების მიმართულების ვექტორი მოპასუხის ქონებისკენაა მიმართული. მაგრამ, უკეთესია იქნება, თუ გ) ქვეპუნქტს მიენიჭება უპირატესობა, ვინაიდან მიუხედავად ორივე ჩანაწერის ზოგადი ხასიათისა, ის შედარებით უფრო სპეციალური ნორმაა და როდესაც მოპასუხის ქონების გასხვისების აკრძალვასთან გვაქვს საქმე, სწორედ ეს პუნქტი უნდა გამოვიყენოთ.<sup>182</sup>

**დ) იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას;**

ფაქტია, რომ მუხლის ამ ნაწილში მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე საუბარი და ის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სფეროში შემავალ ობიექტად გვევლინება, რაც თვისობრივად არასწორია. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო ამბობს, რომ „მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ამდენად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სარჩელის უზრუნველყოფა განსხვავებული ცნებებია. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში განსხვავებული საპროცესო მოქმედებებია შესასრულებელი.“<sup>183</sup> ამიტომ, კანონში არსებული ქაოსური ვითარება სახეა. და საჭიროა, რომ ღონისძიებათა რაოდენობა გაიზარდოს, ან თავად მე-17 მუხლს სახელწოდება შეეცვალოს და ის უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველი გახდეს.<sup>184</sup>

**10.4. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ არსებული პრაქტიკა;**

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სააპელაციო სასამართლომ კრედიტორის მოთხოვნით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოვალისთვის უძრავის ქონების გასხვისების აკრძალვა დაადგინა, უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. აქვე

<sup>182</sup> *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 100.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე №ას-827-1190-06.

<sup>184</sup> *მაჩაიძე.ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 100.

უნდა აღინიშნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup> მუხლის მე-2 ნაწილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამიტომ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული შემდეგი მუხლების: სსსკ-ის 356<sup>18</sup>-ე, 192-ე, 198-ე, 191-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მთავარი მიზანი სარჩელზე სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებაა. უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა მითითებას, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელი არ წარადგინა გარდაცვლილი საარბიტრაჟო მოპასუხის მემკვიდრის მიმართ და მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების რეალური ფაქტი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლეობა არ იყო დადგენილი სათანადო წესით. შემდგომ კი, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგანაც შემდგომში საქმის განხილვის დროს ეს ხარვეზი (საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა გარდაცვლილი საარბიტრაჟო მოპასუხის და არა მისი მემკვიდრის წინააღმდეგ) გამოსწორდა, კერძოდ, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „დავების განხილველი ცენტრის“ 2018 წლის 30 აპრილის საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებით, გარდაცვლილი მსესხებლის უფლებამონაცვლედ მისი პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე) იქნა ცნობილი და ის მოპასუხის საპროცესო უფლებაუნარიანობით შეურთდა პროცესის მსვლელობას.<sup>185</sup>

უნდა ვთქვათ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შეზღუდვა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება და „ი“ ქვეპუნქტი, ანუ სააღსრულებო საბუთის, აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებში, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ იქნას გამოყენებული,<sup>186</sup> იმ ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება, რომელიც ამ პუნქტთა განსაკუთრებული მნიშვნელობითაა გამოწვეული.<sup>187</sup>

<sup>185</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1151-2018.

<sup>186</sup> *კატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 34.

<sup>187</sup> კერძოდ, სახელმწიფო სადავო აქტის მიმართ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე კერძო ხასიათის საარბიტრაჟო განხილვით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის, რომელიც შესაძლოა პირთა ფართო წრის უფლებებს განსაზღვრავდეს, მოქმედების შეჩერებით დაირღვეოდა ბალანსი კონსტრუქციით

მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოებისა და ადგილობრივ სასამართლოთა ურთიერთობის საკითხები. როდესაც მხარეები თანხმდებიან დავის განმხილველ სასამართლოდ საარბიტრაჟო სასამართლოს მიჩნევაზე, ამავდროულად ისინი ექცევიან არბიტრაჟის ავტორიტეტის ქვეშ. თუმცა, თუ მხარეებმა დათქვეს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხში უფლებამოსილი არ არის, მათი ეს დათქმა არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ<sup>188</sup>, ვინაიდან საარბიტრაჟო წესები კერძო ხასიათის დათქმებია და მხარეთა მიერ შესაძლოა სხვადასხვაგვარად განისაზღვროს.

თანამედროვე სამართლებრივი სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია. საერთაშორისო ბაზარზე უამრავი ისეთი საწარმო და კორპორაციაა, რომელიც მრავალი კუთხით ოპერირებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში, უამრავ კომპანიასთან ყოველდღიურად აფორმებს სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ორი სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენელი კორპორაცია საარბიტრაჟო სასამართლოს ირჩევს მათ შორის დავის გადაწყვეტის საშუალებად და საკითხი უზრუნველყოფის ღონისძიების საშუალების გამოყენებას ეხება, კონკრეტული ღონისძიების შერჩევის თემას განსხვავებული კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს, ვინაიდან ის შესაძლოა იმ ქვეყნის საპროცესო სამართალს დაექვემდებაროს, რომელიც გამოსაყენებელ სამართალადაა მიჩნეული. ეს ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალება საპროცესო ხასიათისაა, თუ მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.<sup>189</sup> ამ დროს საკითხი დგება იმგვარად, რომ ისმის კითხვა: რა შეიძლება ჩაითვალოს მატერიალური კანონმდებლობის გამოყენების ზომად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობისთვის მხოლოდ პროცესუალური უზრუნველყოფის ზომა მიიჩნევა რელევანტურად.<sup>190</sup> ტრანსნაციონალური ურთიერთობიდან ნაწარმოები დავებისას, სასამართლომ (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლომაც, თუ ეს მათ შორის არსებული გამოსაყენებელი სამართლის შესახებ შეთანხმებას) არ არღვევს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უმჯობესია საერთაშორისო დოქტრინის წესებს მისდიოს და გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნიოს ნივთის სიახლოვე იმ სამართლებრივ სისტემასთან, რომლის მიხედვითაც დროებითი ღონისძიებების მიღება და აღსრულება უნდა განხორციელდეს, ანუ

---

გარანტირებულ სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვის პროპორციულობის ტესტით დადგენილ დანაწესებს შორის. აგრეთვე, ი) ქვეპუნქტის, სააღსრულებო საბუთის, აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებში, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საარბიტრაჟო სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენების ნების დართვის შემთხვევაში, ურთიერთობებში გაუმართლებლად ჩარევით, რომელიც ცალკე კანონით არის კონკრეტულად მოწესრიგებული, სამართლებრივ ქაოსს და გაუმართავობას ექნებოდა ადგილი.

<sup>188</sup> Wong R., International Relief In Aid Of International Commercial Arbitration, A Critique on the International Arbitration Act, 24 SAJLJ, 502.

<sup>189</sup> International Arbitration in Switzerland A handbook for Practitioners, Edited by Gabrielle Kaufmann-Kohler & Blaise Stucki, Kluwer law international Schulthess 2004 p 70, ნაშრომიდან: *გერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008, 367.

<sup>190</sup> იქვე, 367.

გათვალისწინებულ იქნეს ადგილი, სადაც უზრუნველყოფის საგანი რეალურად არსებობს, რათა ღონისძიების დამამტკიცებელ და აღმასრულებელ სამართლებრივ ნორმებს შორის კონფლიქტი თავიდან იქნეს აცილებული.<sup>191</sup>

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეების მიერ გაფორმებული სესხის ხელშეკრულება მსესხებლის, ნ. კ.-ს მიერ არ იყო ხელმოწერილი. პალატა ერთმნიშვნელოვნად არ უარყოფს, რომ მსესხებელი სესხის ხელშეკრულებას ნამდვილად იცნობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტს უცილობლად დაადასტურებდა. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ. კ. ფიზიკური პირია, ხელშეკრულების მხოლოდ ნახვა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ელექტრონულად დადასტურება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად არ უნდა ჩიათვალოს. აქედან გამომდინარე კი, პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, კონსესუსის საფუძველზე შექმნილი წერილობითი დოკუმენტი არბიტრაჟზე.<sup>192</sup>

#### **10.5. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების საკითხები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხია გაწერილი და რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაც მოიაზრება.

ამ კანონის 44-ე მუხლი კი ამბობს: „იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით“, თუმცა კანონის რომელიმე შემდგომი დანაწესით არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევაზე, როდესაც უცხო ქვეყნის კანონმდებლობით ნებადართული გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში არ მოგვეპოვება. აღნიშნული შემთხვევა კი დარეგულირებულია მაგ, ავსტრიის კანონმდებლობით, სადაც ამ ქვეყნის კანონისთვის უცნობი ღონისძიება საკითხის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, შესაძლოა სხვა საშუალების გამოყენებით „ჩანაცვლდეს“.<sup>193</sup>

<sup>191</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინება საქმეზე №2/ზ-352-2013.

<sup>192</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/3306-15.

<sup>193</sup> *კატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 35.

თუმცა, შეიძლება აღინიშნოს ის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს კანონის ანალოგიის ცნებას, რომელსაც კანონი ხარვეზის შევსების მიზნით უშვებს.<sup>194</sup> გადაწყვეტილების მიღებისა და მისი სამართლებრივად დასაბუთების დროს სასამართლო ჩარჩოებში არ ზის, თუმცა, ნაწილობრივ კანონით დადგენილი ნორმებითაა შემოსაზღვრული. კანონის ანალოგიის გამოყენება (მათ შორის კანონის ინტერპრეტაცია) ზომიერების ფარგლებს გარეთ არ უნდა აღმოჩნდეს და თავისი ბუნებითა და შინაარსით სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, პირიქით, ის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრ და შეუდრეკელ დაცვას და ისეთი საპროცესო ნორმის მოძებნას უნდა ემსახურებოდეს, რომელიც იდენტურ სამართლებრივ ურთიერთობებს ყველაზე უკეთ დაარეგულირებს.<sup>195</sup> ავსტრიის კანონმდებლობის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, სუპერგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე უაღრესად მაღალია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, ან გამოუყენებლობის დროს საარბიტრაჟო სასამართლომ შესაძლოა ვერ გაითვალისწინოს ის, რომ ინტერესთა შეპირისპირებისას, მოსარჩელის უფლების უზრუნველსაყოფად მოპასუხისთვის თავის ნივთზე, ქონებაზე, ან უფლებაზე ადგილობრივი კანონმდებლობით შეზღუდვის დაწესება, ქართული კანონმდებლობით შედგომი ცნობა-აღსრულებისას მოპასუხისთვის გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს. ამიტომ, ამ დროს, ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე, სასამართლოს ამ საკითხისადმი კანონის ანალოგიით მიდგომა, ვთვლი, რომ სამართლის თეორიული და პრაქტიკული სრულყოფის თვალსაზრისით, უაღრესად წინგადადმული ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაშლილ ა) და ბ) პუნქტებს, მათ შორის სხვაობა, ანუ ცალკე ნაწილებად გამოყოფის აზრი არის არა შინაარსობრივი დიფერენცირების, ან პროცედურასთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომის შედეგი, არამედ საქმე იმაშია, რომ „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა შეიძლება მხარის მოთხოვნით, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის (ბ.ა: „საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი“ და ბ.ბ: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს“) თანახმად, სასამართლო თავადაა უფლებამოსილი თავისი ინიციატივით წამოიწყოს ამ საკითხზე მსჯელობა და უარი უთხრას მხარეს აღსრულებაზე.<sup>196</sup>

<sup>194</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №18/სპ-15-17.

<sup>195</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №18/სპ-16-17.

<sup>196</sup> *კატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 35.

როგორც ჩანს, სასამართლოს შეუძლია *ex officio* გაითვალისწინოს შესაბამისი მიზეზები ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში.<sup>197</sup> აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. სასამართლო არსებითად არ ამოწმებს თვით ზომის მიღების მიზანშეწონილობასა და ზომის შინაარსს, თუმცა ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მიზეზების შემოწმება ხდება არსებითად. შესაბამისად, უარის თქმის საკითხებთან მიმართებით ფორმალური პროცედურა არ გვაქვს.

ამიტომ, უმჯობესი იქნება, რომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის მინიჭების დროს გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მისდევს ამ საკითხზე არსებული ტრადიციული გადაწყვეტის წესს, ექსტრა-ტერიტორიულობის პრინციპს, რომელიც გამოყენებული იქნება იმ არბიტრაჟების მიმართ, რომლებიც არ მდებარეობს საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არბიტრაჟის ადგილსამყოფელად ძირითადად არჩეულია ნეიტრალური ადგილი, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო არბიტრაჟში და კანონმდებლობა ამ რეალობის უბრალო ასახვად არ უნდა გამოიყურებოდეს.<sup>198</sup>

## **XI. დასკვნა**

ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წამყვან უცხოურ სამართლებრივ სისტემებში მხარის ინტერესთა დაცვის ამ საშუალების სახელწოდებათა კრებით ცნებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ის მის წინასწარ, დროებით, დამცავ და სხვა ფუნქციებს ერთი ტერმინის ქვეშ აერთიანებს. ქართული კანონმდებლობა ცდილობს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა რეგულირება მოწინავე ქვეყანათა გამოცდილებას მოარგოს, თუმცა, ზემოთხსენებული თემის ირგვლივ როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ისე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი სისტემური და შინაარსობრივი ხარვეზები შეინიშნება, რომელიც სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა უფლებებისა და მათი დაცვის სრულყოფილ გარანტიად ვერ იქნება მიჩნეული.

<sup>197</sup> *Power J.*, The Austrian Arbitration Act (Manzache, Wien, 2006), p.49; ნაშრომიდან: *კატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 35.

<sup>198</sup> *კატუროვა. ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012, 36.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წამოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი გამოყენების კანონით გათვალისწინებული წინაპირობებისა, დროებით ღონისძიებათა გამოყენებით დამდგარი შედეგების კვლევა ქართულ კანონმდებლობაში, რა დროსაც ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის, წამყვანი ქვეყნების სამართლებრივ რეგულაციათა განმარტებების მოშველიებით, განსახილველი ინსტიტუტის საკანონმდებლო სრულყოფის კუთხით, გარკვეული მოსაზრებები იქნა შეთავაზებული.

ნაშრომით გავრცობილი კვლევის შედეგები შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ფორმულირდეს:

*1) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;*

- სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტი სასამართლოს მიერ მესამე პირებისთვის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისთვის ქონების გადაცემის, ან ვალდებულების შესრულების აკრძალვას ითვალისწინებს, რაც შედარებით ვრცელი ჩანაწერია და მოსამართლეს ფართო დისკრეციის საშუალებას ანიჭებს. ამ ჩანაწერით მკაფიოდ ვერ დგინდება, რა იგულისხმება ქონებაში. ის ქონება ხომ არა, რომელიც დავის საგანი შეიძლება იყოს, ან მასთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული. ეს ჩანაწერი, მოსამართლეს მესამე პირებისთვის რომელიმე სხვა ქონების მოპასუხისთვის გადაცემის აკრძალვის დიდ არეალს ხომ არ ანიჭებს;

- ვფიქრობ, რომ კანონში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რომელ ქონებაზეა საუბარი, ან დამხმარე ნორმით, ან პუნქტით შეიზღუდოს მოსამართლის დისკრეცია აღნიშნულთან დაკავშირებით;

*1. სსსკ-ის 197-ე მუხლის და 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნებთან;*

- სსსკ-ის 197-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში,“ სსსკ-ის 193-ე მუხლი კი ამბობს, რომ „განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.“

- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი თანასწორობის პრინციპის კვალდაკვალ, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვაა. შესაბამისად, ამ განცხადების სასამართლოს მიერ ერთ დღეში, თან მოპასუხისათვის

შეუტყობინებლად განხილვა ემსახურება იმას, რომ მოპასუხემ ქონება, რომელიც უზრუნველსაყოფად შესაძლოა მიექცეს, არ გაყიდოს, ან რაიმე სხვა სამართლებრივი უფლებით არ დატვირთოს, რაც გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის. შესაბამისად, განცხადების განხილვისთვის 1 დღის დაწესება ამ გარემოების პრევენციისთვისაა აუცილებელი, იმ პირობებში, რომ მოპასუხე უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის შესახებ უწყების ჩაბარებით მის წინააღმდეგ ამ საპროცესო საშუალების გამოყენების საშიშროების შესახებ, რაც მისი მხრიდან ქონების რეალიზაციის რისკს ქმნის.

- სსსკ-ის 1971-ე მუხლის ჩანაწერი, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში“, უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანს ეწინააღმდეგება. იგივე სიტუაციაა ამ მუხლის მეორე ნაწილში, სადაც წერია, რომ „საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს“, რაც ასეთი სპეციფიური საპროცესო მოქმედების განხილვისთვის, რომელიც პირადად ზეგავლენას ახდენს მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებაზე, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ საქმის დროული განხილვის უფლებაზე, გაუმართლებლად მეტი დროა. მეტიც, სააპელაციო სასამართლოსთვის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გასაჩივრებული განაცხადი, რომელიც კერძო საჩივრით საჩივრდება, სსსკ-ის 419-ე მუხლის ნაწილით, მაქსიმალურ ვადად 2 თვეა მიცემული, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.
- აუცილებელია, რომ კანონმდებლობით ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბდეს აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, 1 დღის ვადაში განხილვის ვალდებულება შენარჩუნებულ იქნას და ეს ყველა სტადიაზე გავრცელდეს: 5, 20 და 2 თვე შეიცვალოს იმ მინიმუმით, რომელიც ამ ღონისძიების გამოყენების განხილვის განსაკუთრებულ პრიორიტეტულობას ზემდგომ ინსტანციაშიც განამტკიცებს.
- ან, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების თავში ეს საკითხი სპეციალურ მოწესრიგებას დაექვემდებაროს, რომ მასზე 419-ე მუხლით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადა არ გავრცელდეს.
- განხილვის მინიმალური ვადა დაწესდეს და განცხადების გასაჩივრებისას, იმავე ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი განხილვის შესაძლებლობა ამოღებულ იქნას და განცხადება, დროის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, პირადად ზემდგომ ინსტანციას გადაეცეს.

3) უზრუნველყოფის გარანტიის სასამართლო წესით გასაჩივრება;



- სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას.“
  - აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირს, რომლის წინააღმდეგაც სასამართლომ, დაადგინა, რომ მან 30 დღეში ვერ უზრუნველყო მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება, ამ განჩინების გასაჩივრებას ვერ შეძლებს და მას მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებაზე შემდგომი დავის შესაძლებლობა აქვს. სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება მოსარჩელეს არც აღჭურავს და არც ზღუდავს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით და მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების ინსტიტუტის ან/და მისი გამოყენების უფლებამოსილების განმსაზღვრელ წესს არ წარმოადგენს.
1. ვთვლი, რომ მოსარჩელეს მომეტებული ინტერესიდან გამომდინარე, ამ განჩინების გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს და აღნიშნული ცალკე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს, ვინაიდან არ იყოს მოცემულობა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება მოსარჩელეს არც აღჭურავს და არც ზღუდავს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.
- 4) *საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები;*
- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება, ან აღდგენა და გ) ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლოა თვისობრივად წინააღმდეგობაში მოვიდეს ერთმანეთთან, უფრო სწორად რომელიმე მათ შორის ზედმეტი აღმოჩნდეს.
  - ვთვლი, რომ გ) ქუნქტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და ა) პუნქტი სრულიად ამოღებული იქნას კანონიდან, ან კანონშივე სხვა ინტერპრეტაცია მიეცეს, ვინაიდან გ) პუნქტი უფრო აკონკრეტებს საარბიტრაჟო წარმოებაში მის მიზანს და ამით ა) პუნქტის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

- ყურადღება მისაქცევია კანონის ამ მუხლის დ) ქვეპუნქტზე, რომელიც მტკიცებულებათა უზრუნველყოფას სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილად მიიჩნევს, რაც თვისობრივად არასწორია და მათი სხვადასხვა განმარტებიდან გამომდინარე, ან მე-17 მუხლში ღონისძიებათა ჩამონათვალს სხვანი შეემატონ, ან ეს ორი ინსტიტუტი აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

*ძლიერიშვილი ზ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალი (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2018.

*ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი., სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016.

*ჭანიძე დ.*, სარჩელის განხილვის თავისებურებანი რომაულ სამართალში, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.

*ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012.

*კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი, 2003.

*ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005.

*წიკლაური ბ.*, უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011.

*ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007.

*კაჭაშვილი. გ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, 2018.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013.

*ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006.

*ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007.

*ხარიტონიშვილი ნ.*, მესამე პირები სამოქალაქო პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 67.

სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა, შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2013 წლის 18 ივლისი.

*გაგუა ი.*, სადისერტაციო ნაშრომი: მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

*კატუროვა ნ.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2012.

*მაჩაიძე ო.*, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

*ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2008.

*ჩომახიძე ნ.*, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, თბილისი, 2013.

#### **ინგლისურ ენაზე:**

*Andrews N.*, Provisional and Protective Measures: Towards an Uniform Protective Order in Civil Matters, 6 UNIF. L. REV. N.S. 931, 2001.

*Goldsworthy P. J.*, Interim Measures Of Protection In The International Court Of Justice, American Journal of International Law, vol. 68, no. 2, April 1974.

*Pretelli I.*, Provisional and Protective Measures in the European Civil Procedure of the Brussels I System.

*Westberg P.*, Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies In Law © 1999-2012.

*Baicker-McKee S., Janssen W. M., Corr J. B.*, A Student's Guide to the Federal Rules of Civil Procedure, West Publishing Company, ST. Paul, Minn, 1997.

*Aichinger M., Petritz W., Reich E.*, Interim Measures and The Applicability of Article 6, Vienna (Austria).

*Kolban P., Babičková K., Potucký J.*, Selected Problems Related to Provisional Measures within Brussels I Bis Regulation and European Convention on Human Rights, Czech Republic, 2017.

*Zoroska K. T., Ph.D.*, Interim Measures in IP Litigation from the Macedonian Perspective, Iustinianus Primus Law Review, 2013.

*Frangakis N., Associates, Kazantzi N., Saounatsou H.*, GREECE, Athens, Greece.

*Uchkunova I.* Provisional Measures before the International Court of Justice, Law and Practice of International Courts and Tribunals, vol. 12, no. 3, December 2013.

*Ramsey, Ronald C.*, The Role of the Judge in Civil Settlements, Law and the Social Order, vol. 1973, no. 1, 1973.

*Schwarzer, William W.*, Managing Civil Litigation: The Trial Judge's Role, Judicature, vol. 61, no. 9, April 1978.

*Yimer G. A.*, Standards for Provisional and Protective Measures in Civil Litigation: What Ethiopian Courts May Learn from US Courts, African Journal of International and Comparative Law, vol. 24, no. 3, 2016, III section, Provisional and Protective Measures under Ethiopian Laws.

*Guangliang Z.*, Impact of New Chinese Civil Procedure Law On Interim Measures in IP Civil Litigation, China Patents & Trademarks, No 1, 2013.

*Cound J. J., Friedenthal J. H., Miller A. R., Sexton J. E.*, Civil Procedure Supplement, American Casebook series, West Group. ST. Paul, Minn., 1998.

*Schwartz M. M.*, Constitutional Law, Due Process, Prejudgment Seizure of Property, 52 Denv, 1975.

*Jørgensen J. C.*, Finding, Freezing and Attaching Assets, A Multi-jurisdictional Handbook, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2016.

Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006.

Uniform Act Organizing Simplified Recovery Procedures and Enforcement Measure, Compilation of Treaties and Uniform Acts.

Open-ended Intergovernmental Working Group on Asset Recovery, Forum for discussions on capacity-building and technical assistance, Study prepared by the Secretariat on effective management and disposal of seized and confiscated assets, Vienna, 24 and 25 August 2017.

Organization For Security and Co-operation in Europe Mission In Kosovo, Use of Interim Measures in Civil Proceedings in Kosovo, LSMS Issue 11 , December 2010, 1. See Bevacqua and S. v Bulgaria, ECtHR Judgment of 12 June 2008.

*Giráldez A. M. C.*, Interim Measures and EU Legislation, e-Revista Internacional de la Protección Social, ISSN 2445-3269, 2016, Vol. I, Nº 1, 2016.

*McMahon H. J.*, Civil Procedure, 24 LA. L. REV. 291, Louisiana Law Review, 1964.

*Rieter E. R.*, Provisional Measures in International Human Rights Adjudication, Preventing Irreparable Harm, Intersentia, 2010.

*Zuckerman A. A. S.*, The Undertaking in Damages - Substantive and Procedural Dimensions, 53 Cambridge, 1994.

*Méndez F. R.*, Provisional Remedies in Spanish Civil Procedure, 2000.

*Électricité de France SA (EDF) vs European Commission*, Order of the Vice-President of the Court, Case C-551/12, 7 March 2013.

*Savola M.*, Interim Measures and Emergency Arbitrator Proceedings, Presentation at the 23rd Croatian Arbitration Days: Access to Arbitral Justice Part IV: Time Aspects of Access to Arbitral Justice Zagreb, 3 – December 4, 2015.

*Alibekova A., Carrow R.*, International Arbitration And Mediation – From The Professional Perspective, Concurrent Jurisdiction of Arbitral Tribunals and Courts, Yorkhill Law Publishing, 2007.

*Semple W. G.*, The UNCINTRAL Model Law and Provisional Measures in International Commercial Arbitration, 1993.

*Wong R.*, International Relief In Aid Of International Commercial Arbitration, A Critique on the International Arbitration Act, 24 SACLJ.

#### **ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები:**

##### **სააპელაციო სასამართლო**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5726-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 აგვისტოს განჩინება საქმეზე №28/3437-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №28/6076-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №28/790-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/652-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/1219-12.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/2567-09.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5560-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინება საქმეზე №28/4348-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N38/2727-17წ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №28/6144-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/906-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/5641-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №28/5926-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/5617-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/4597-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/62-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5087-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება საქმეზე №2ბ/4752-15.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე N3ბ/83-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4023-13.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4610-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე №2ბ/362-16.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/3306-15.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინება საქმეზე №2/ზ-352-2013.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-15-17.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-16-17.

### **საქართველოს უზენაესი სასამართლო**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-16-354-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1477-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-836-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-155-145-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-587-925-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1-ლი დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1263-1183-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1777-1755-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე №ას-693-663-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინება საქმეზე №ას-3-3-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე №-859-825-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-929-879-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1041-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-759-718-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1344-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ას-499-475-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის განჩინება საქმეზე №ას-402-375-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1009-945-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-972-936-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1556-1476-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1249-2018.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1512-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1136-1092-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-533-509-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-471-439-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-871-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-581-581-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1405-1325-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-523-489-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1151-2018.

### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1-ლი დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე, *Avotinš v. Latvia*.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *Micallef v. Malta*.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის განჩინება საქმეზე, *Saghinadze and Others v. Georgia*.

**საკანონმდებლო აქტები:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, 13(20), 01/05/1999.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

საქართველოს კანონი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“, სსმ, 5, 20/01/2006.

საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, სსმ, 46, 22/12/2009.

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 003, 23/03/1996.

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, სსმ, 9, 31/03/2007.

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, სსმ, 13, 02/07/2009.

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

ისტერნეტ - წყაროები:

1. <https://www.isdc.ch/media/1740/provisional-measures-in-the-brussels-i-system-by-ip.pdf>.
2. [http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/Written%20paper%20Lisbon/Written\\_paper\\_%20Austria\\_1\\_%20Interpretation\\_and\\_application\\_of\\_article\\_5\\_and\\_6\\_of\\_the\\_ECHR%20.pdf](http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/Written%20paper%20Lisbon/Written_paper_%20Austria_1_%20Interpretation_and_application_of_article_5_and_6_of_the_ECHR%20.pdf).
3. <http://lib.sale/grajdanskiyprotsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html>.
4. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62012CO0551>.
5. [http://www.supremecourt.ge/files/upload\\_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf).
6. [http://www.supremecourt.ge/files/upload\\_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload_file/pdf/shexvedrisshejameba.pdf).
7. [http://www.rya.es/articulos/Provisional\\_%20Remedies\\_in\\_Spanish\\_Civil\\_Procedure.pdf](http://www.rya.es/articulos/Provisional_%20Remedies_in_Spanish_Civil_Procedure.pdf).
8. <http://www.gccc.ge/>.
9. [http://www.rya.es/articulos/Provisional\\_%20Remedies\\_in\\_Spanish\\_Civil\\_Procedure.pdf](http://www.rya.es/articulos/Provisional_%20Remedies_in_Spanish_Civil_Procedure.pdf).